

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოება



ქართული  
გეოგრაფიული

მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის სერია

გ. ზარდალიძე


K  $\frac{47.756}{3}$

# ქაშვიანი და გეოგრაფიული გაკვეთი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1952

1M4



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოება

მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის სერია

ბ. ზარდალიძე

# ადამიანი და გეოგრაფიული გარემო

K 47.756  
3



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიდმა სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია (მოკლე კურსი)“ ნათლად და ამომწურავად განსაზღვრა გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაში.

ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში გეოგრაფიული გარემოს გარკვეული პირობების დიდი მნიშვნელობის შესახებ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1931 წელს—სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე („სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ“).

როგორც ცნობილია, „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების“ ცნებაში შედის „უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების გარემომცველი ბუნება, გეოგრაფიული გარემო, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ და მუდმივ პირობას“<sup>1</sup>.

გეოგრაფიული გარემო ეს არის ადამიანის გარემომცველი ბუნება—ბუნებრივ პირობათა ისეთი კრებადობა (წიაღისეული სიმდიდრეები, ზღვები და ტბები, მდინარეები, კლიმატი და ნიადაგი, ფლორა, ფაუნა და სხვ.), რომლებიც „ორგანულად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან და განაპირობებენ ერთმანეთს“<sup>2</sup>, ამასთანავე იმყოფებიან მუდმივი მოძრაობის, ცვლილებისა და განვითარების პროცესში, სადაც „მუდამ რაღაც წარმოიშვება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, 1950, გვ. 145

<sup>2</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 130.


გეოგრაფიული გარემო არის უშუალო ბუნებრივი პირობების მუდმივი ბუნებრივ-ისტორიული ერთეულები, რომელშიც მიმდინარეობს ადამიანთა მატერიალური და სულიერი საქმიანობა. გეოგრაფიული გარემო წარმოადგენს რელიეფის, კლიმატის, ნიადაგისა და წიაღისეულ სიმდიდრეთა ურთიერთმოქმედ ერთობლიობას, რაც ადებულ სტადიაზე ითვალისწინებს ამ ერთობლიობის ბუნებრივ განვითარებას და მასზე ადამიანის გარდამქმნელ გავლენას.

გეოგრაფიული გარემო საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ცვალებადი პირობაა, რაც, ერთი მხრივ, ხდება, როგორც ბუნებრივი, სტიქიური პროცესის შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მასზე საზოგადოების ზემოქმედების შედეგი.

გეოგრაფიული გარემო აუცილებელი პირობაა საზოგადოების განვითარებისათვის. იგი, როგორც ბუნების ნაწილი, უღვევია. საწარმოო ძალთა განვითარებასა და ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედებასთან ერთად გეოგრაფიული გარემო სულ ახალ და ახალ თავისებურებებს ამჟღავნებს. რაც უფრო ძლიერი და ინტენსიურია ადამიანის გავლენა გარემოზე, მით უფრო მრავალფეროვანია იგი ხარისხობრივად და უფრო ხელმისაწვდომია ბუნების გამოყენებისა და გარდაქმნისათვის.

გეოგრაფიული გარემოს როლის განსაზღვრასა და საზოგადოების განვითარებასთან მისი დამოკიდებულების ხასიათის გაგებაში მკვეთრად გამოიყოფა ორი მიმართულება: პირველი—პროლეტარიატის მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობა და მეორე—ბურჟუაზიული სოციოლოგების ცრუმეცნიერული მსოფლგაგება. ამიტომ, აუცილებელია განვიხილოთ გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, როგორც ბურჟუაზიულ სოციოლოგთა, ისე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გაგებით. ამავე დროს, ცალმხრივი რომ არ გამოდგეს ეს განხილვა, საჭიროა განსაკუთრებით გავარკვიოთ სოციალისტური

წყობილებისა და სოციალისტური წარმოების გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე.



## გეოგრაფიული გარემოს ბუნებრივი თემოები და მათი კრიტიკა

### 1. სუბიექტურ-იდეალისტური და გეოგრაფიული თემოები

ბუნებრივ სოციოლოგიაში და გეოგრაფიაში ნათლად გამოიყოფა გეოგრაფიული გარემოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გაგება. მეცნიერების ერთი ჯგუფი გადაჭარბებით აფასებს გეოგრაფიული გარემოს გავლენას საზოგადოების განვითარებაზე. ამ ჯგუფს გეოგრაფიული გარემო მიაჩნია განმსაზღვრელ, გადამწყვეტ ფაქტორად საზოგადოების განვითარების საქმეში. მეცნიერთა მეორე ჯგუფი სრულიად უარყოფს გეოგრაფიული გარემოს გავლენას საზოგადოების განვითარებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მარქსიზმის გავრცელებისა და პროლეტარიატის რევოლუციური ძალების შემდგომ ზრდასთან ერთად, ბუნებრივ სოციოლოგიაში გავრცელდა უკიდურესად რეაქციული, სუბიექტურ-იდეალისტური და ანტიმეცნიერული თეორიები.

გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის ახსნის ცდებს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჰქონდა ადგილი. ასე მაგ., ჰიპოკრატემ და ფუკიდიდემ, ქსენოფონტემ და არისტოტელემ, პლოტინომ, სტრაბონმა და სხვებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათი გეოგრაფიული პორიზონტი მეტად შეზღუდული იყო (უმთავრესად იგი განისაზღვრებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზით), მოგვცეს გეოგრაფიული გარემოს ახსნის ესკიზური ფორმები. ისინი საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად უპირატესად აღიარებდნენ კლიმატს, რომელიც, თითქოს, განსაზღვრავს მოსახლეობის ზნე-ჩვეულებასა და შრომისუნარიანობას, მათს ნიქსა და ხელოვნებას.

ქველი საბერძნეთის მეცნიერთა აზრით, ამა თუ იმ ქვეყნის ხელსაყრელ მდებარეობას საზოგადოებრივი წყობილების სხვადასხვაობამდე მივყავართ და ეს კი (ე. ი. მდებარეობა) თითქოს ხელს უწყობს ზოგიერთი ქვეყნის მიერ მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვებას. მაგ., ქსენოფონტე (430—355 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ათენის განვითარება-გაძლიერებას მისი ხელსაყრელი მდებარეობით ხსნიდა. ცხადია, ქსენოფონტეს აზრი, ისე როგორც სხვა მეცნიერთა აზრი, მცდარია, რადგანაც რიგი სახელმწიფოების აღმავლობა-გაძლიერება და დაცემა ხელსაყრელი მდებარეობით როდი ხდებოდა. ასე მაგ., ძველად ძლიერი სახელმწიფოების—ეგვიპტისა და ასურეთ-ბაბილონის, საბერძნეთისა (ათენის) და რომის, ესპანეთისა და სხვათა მდებარეობა დღეს იგივეა, რაც ორიოდე ათეული საუკუნის წინათ იყო, მაგრამ აღნიშნული სახელმწიფოები ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით უკვე აღარ წარმოადგენენ ძლიერ სახელმწიფოებს.

ცნობილი მეცნიერი არისტოტელე, რომელმაც ჰიპოკრატესა და ქსენოფონტესაგან ისესხა აზრები, ამ უკანასკნელებზე უფრო შორს წავიდა. არისტოტელეს აზრით, ცხელი ქვეყნის მოსახლეობის სიმკაცრე კლიმატის თავისებურებითაა გამოწვეული და რომ მხოლოდ ზომიერი კლიმატი მოქმედებს დადებითად ადამიანზე, ხოლო ცხელი და ცივი კლიმატი ანგრევს ადამიანის სულიერ წყობასა და განვითარებასო. რიგ შრომებში: „ათენის პოლიტია“, „მეტეოროლოგია“ და სხვა, არისტოტელეს მმართველობის ფორმები კლიმატური და რელიეფური პირობების შედეგი ჰგონია; თითქოს სხვადასხვა ზედაპირის მქონე ქვეყანა მმართველობის სხვადასხვა ფორმებს საჭიროებს; რომ მთიან ქვეყნებში დემოკრატიული მმართველობის ფორმებია საჭირო, ხოლო ველმინდვრიან და სწორადგილებში—ოლიგარქიული და მონარქიული წყობილება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პეტრე პირველი თავის უფლებებს რუსეთის იმპერატორობაზე არისტოტელეს თეორიით ამართლებდა და ამტკიცებდა, რომ რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე მონარქია უნდა იყოსო.

სტრაბონმა, განავითარა რა წინამორბედი მეცნიერების დებულებები, ძველ სახელმწიფოთა (ფინიკია, კართაგენი, რომი) ძლიერება მათს ბუნებრივ სიმდიდრეებსა და სამომავლო გზების ხელსაყრელ მდებარეობას მიაწერა.

გეოგრაფიულმა მიმართულებამ განსაკუთრებით დიდი განვითარება ჰპოვა XVI საუკუნიდან — დიად გეოგრაფიულ აღმოჩენათა პერიოდიდან. კაპიტალიზმის განვითარებამ, სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოებამ გამოიწვია ევროპელთა ლტოლვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისაკენ. ზემოგების სურვილი, ვაჭრობა, ახალი სანედლეულო წყაროების ძებნა, დაპყრობითი ომები, მოგზაურობები და სხვა დიდ ბიძგს იძლეოდა რიგი ქვეყნების გეოგრაფიულად შესწავლისათვის. ამ პერიოდიდან გამოიყო ბურჟუაზიულ სოციოლოგთა და ეკონომისტთა მთელი პლეადა, რომლებმაც უშუალოდ გააგრძელეს ძველ ბერძენ მეცნიერთა იდეები. ახალი რამ მათ არ მოუციათ, მხოლოდ შეავსეს და განავითარეს ძველ ბერძენ მეცნიერთა თეორიები.

კაპიტალიზმის განვითარების დაწყებითი სტადიის გეოგრაფიული მიმართულების პირველი თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი ფრანგი ეკონომისტი ჟან ბოდენი (1530—1596). იგი თავის შრომაში „ექვსი წიგნი რესპუბლიკაზე“ (1577 წ.) საზოგადოებისა და სახელმწიფოს ბედ-იღბალს ბუნებრივი პირობებით, კერძოდ კი კლიმატით, განსაზღვრავდა (რაც შემდეგში განვითარებულ იქნა მონტესკიეს მიერ). ბოდენის აზრით, ჩრდილოეთის ხალხი ძლიერია, მოქმედებს მხეცური ძალით, როგორც ცხოველი; სამხრეთის ხალხი კი ფიზიკურად სუსტი და ბუნებრივი მელანქოლიის გამო მკაცრი და შურიანი. მათ შუა მცხოვრებნი (ბოდენი პირველ რიგში საფრანგეთს გულისხმობს) საშუალო თვისებებით ხასიათდებიან, თითქოს ამიტომაც, რომ მხოლოდ ზომიერი კლიმატის ხალხებმა შექმნეს დიდი იმპერიები, ახალი კანონები.

„თუ მივმართავთ ყველა ხალხის ისტორიას,—წერს ბოდენი,—დავინახავთ, რომ დიდი და ძლიერი არმიები ჩრდილოეთიდან მოვიდნენ; ოკულტიზმი, ფილოსოფია, მათემატიკა და სხვა მეცნიერებანი სამხრეთელებმა შექმნეს, ხოლო პოლი-

ტიკური მეცნიერებანი, კანონები, იურისპრუდენცია, ორტორიკა დიდ იმპერიებში — ზომიერ კლიმატში შეიქმნა“. ბოდენი კლიმატურ თვისებებს უფარდებს ტემპერამენტს, ხასიათსა და მმართველობის ფორმებსაც კი და დასძენს: „ჩრდილოეთს მართავს ძალა, ცენტრს — სიმართლე და სამხრეთს — რელიგია“. აქედან ბოდენს გამოყავს მთავარი დასკვნა: ყველი მმართველობის ფორმა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების პროდუქტს წარმოადგენსო.

ბოდენის დასკვნები მცდარია და არამეცნიერული, რადგან იგი ეყრდნობა არა მეცნიერულ დაკვირვებებს, არამედ საკუთარ ინტუიციასა და თეორიულ მოსაზრებას, აგრეთვე ძველ ბერძენ მეცნიერთა აზრებს.

XVII—XVIII საუკუნეებში ევროპელთა კოლონიურ ექსპანსიას თან სდევდა ხალხების დამონება, ძარცვა-გლეჯა, სასტიკი ექსპლოატაცია. ამიტომ, ევროპელი კოლონიზატორები თავიანთი იდეოლოგიებისაგან მოითხოვდნენ კოლონიებზე მათი ბატონობის „უფლებათა“ თეორიულ დასაბუთებას.

ამ პერიოდში გეოგრაფიული სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ფრანგი ფილოსოფოსი, ბოდენის იდეათა უშუალო განმგრძელებელი შარლ ლუი მონტესკიე (1689—1755). თავის ნაშრომში „სულის კანონების შესახებ“ (1748 წ.) იგი საზოგადოების პროგრესის გადამწყვეტ ფაქტორად გეოგრაფიულ გარემოს აღიარებს და უპირატესობას ნიადაგთან ერთად კლიმატს ანიჭებს.

მონტესკიე სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობასაც გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებით ხსნის და პირდაპირ ამბობს, რომ „კლიმატის ძალა ყველა ძალაუფლებაზე უფრო ძლიერია“. ანვითარებს რა ბოდენის თეორიას, იგი აღნიშნავს, რომ „კლიმატმა შექმნა კანონები და ზნე-ჩვეულებანი“, და შემდეგ ხშირად იმეორებს არისტოტელესა და ბოდენის აზრებს, თითქოს კლიმატურმა პირობებმა შექმნეს სისუსტე და უძლურება ცხელ ქვეყნებში, ხოლო „მხნეობა და მამაცობა ცივ ქვეყნებში“. „ცხელი კლიმატის ხალხი,—წერს მონ-



ტესკიე, — მხდალნი არიან, როგორც მოხუცები; ცივი კლიმატის ხალხი კი — მამაცნი, როგორც ჭაბუკნი“<sup>1</sup>.

თუ მონტესკიეს დაუჯერებთ, მაშინ როგორღა ავსხნათ ერთსა და იმავე კლიმატურ პირობებში, ერთსა და იმავე ქვეყანაში, მაგრამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის არსებობა? მაგ., იტალიის კლიმატი გრაკხების, ბრუტოსისა ან იულიოს კეისრის დროიდან დღემდე თითქმის არ შეცვლილა, მაგრამ რაოდენ რთული ეკონომიური და პოლიტიკური ევოლუცია განიცადა ძველმა რომმა და იტალიამ! მონტესკიე გრძნობს, რომ მსგავსი მოვლენების მართა კლიმატით ახსნა არ შეიძლება. ამიტომ იგი მიმართავს ჩვეულებრივ იდეალისტურ „ახსნას“: პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ ცვლილებებს იგი „ხსნის“ კანონმდებლობითა და კანონმდებლის თავისუფალი მოქმედებით.

მონტესკიეს მხედველობიდან გამორჩა, რომ ადამიანის თვისება და ზნე-ჩვეულება განისაზღვრება არა კლიმატით, არამედ, პირველ რიგში, თვით საზოგადოებით, რადგანაც ადამიანი განსაზღვრულ სოციალურ პირობათა პროდუქტია და მისი თვისებები იმ გარკვეული საზოგადოების კლასის ყოფიერების ასახვაა, რომელსაც იგი ეკუთვნის. მონტესკიეს აზრით, ევროპაში ზომიერი კლიმატის გამო ხალხი თავისუფალია (?!), ხოლო აზიასა და აფრიკაში ცხელი კლიმატის გამო მონებადაა გადაქცეული. ამ დებულებებით მონტესკიე ამართლებს ევროპის სახელმწიფოების მიერ კოლონიების ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას.

ცხადია, კლიმატი გარკვეულად მოქმედებს ადამიანზე, მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ მიწათმფლობელობის, ფეოდალიზმის, ბურჟუაზიის ან პროლეტარიატის აღმოცენება განა შეიძლება კლიმატური (და საერთოდ გეოგრაფიული) პირობებით ავსხნათ? ცხადია, არა. ასევე არ შეიძლება, რომ კლიმატით იქნეს ახსნილი დასახელებულ კლასებს შორის არ-

<sup>1</sup> შ. მონტესკიე — სულის კანონების შესახებ, 1900, გვ. 226 (რუს. გამ.).

სებული ანტაგონიზმი, კლასთა ბრძოლები და სხვა მოვლენები.

ამრიგად, საზოგადოებრივი ყოფის, ადამიანთა წინსვლა-განვითარების გადამწყვეტი მომენტი არა კლიმატი, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ხასიათი, საარსებო საშუალებების მოპოვების წესი, წარმოების წესები.

მონტესკიეს შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება გვიჩვენებს, თუ რა გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან აზიისა და აფრიკის კოლონიური და დამონებული ხალხები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სსრ კავშირმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შესუსტდა რეაქციის ბანაკის პოზიციები, ევროპასა და აზიაში აღმოცენდა ახალი სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ჩინელმა ხალხმა თავიდან მოიშორა გომინდანელთა და მათ დამქაშ ამერიკელთა მონობის უღელი და ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა. კორეელი ხალხი წარმატებით განაგრძობს ბრძოლას ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ. აზიის სხვა ხალხებმა (ინდონეზიის, ვიეტნამის, მალაის, ფილიპინების, ბირმისა და სხვ.) აღმართეს ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დროშა. როგორც ცნობილია, ცხელ ქვეყნებში მცხოვრები აზიის ხალხები სრულიადაც არ ჰგვანან მონტესკიეს მიერ აღწერილ ადამიანებს.

თავის წინამორბედებთან შედარებით, მონტესკიეს მაინცდამაინც ახალი არაფერი მოუცია. მისი კლიმატური თეორიის ცალმხრივობა როდი გაიზიარეს ცნობილმა ფილოსოფოსებმა ტიურგომ, ვოლტერმა, ჰელვეციუსმა და სხვ. ვოლტერი თავის „სულის კანონების კომენტარიებში“ (1777 წ.) წერდა:

„მე არ მგერა მონტესკიეს მიერ სამხრეთელი ხალხებისადმი მიწერილი სისუსტე: რომ თითქოს კანონები და ზნე-ჩვეულებები აღმოსავლეთში ახლაც ისეთივეა, როგორც ათასი წლის წინათ იყო. ცხადია, კლიმატი მოქმედებს ადამიანის ძალასა და ტალანტზე. ჩვენ არასოდეს არ გვსმენია სამოედთა და ზანგთა ფრინაზე, ლობარების ჰერკულესზე, ან ნიუტონზე

ტუბუს ტომიდან<sup>1</sup>, მაგრამ ავტორი მართალი არ არის, რო-  
დესაც ამტკიცებს, თითქოს ჩრდილოეთის ხალხები მუდამ  
გამარჯვებულნი გამოდიოდნენ სამხრეთელებთან ბრძოლაში,  
არაბებმა, რომლებიც ჩრდილოეთის ხალხებს არ მიუვინებ-  
ბიან, მოკლე დროში დაიპყრეს დიდი ტერიტორიები და, რო-  
მის მსგავსად, შექმნეს ვეებერთელა იმპერია.

მონტესკიეს წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე ფრანგმა ფი-  
ლოსოფოსმა — მატერიალისტმა კლოდ ჰელვეციუსმა (1715 —  
1771). იგი წერდა:

„თუ სხვადასხვა კლიმატის ტემპერატურა ასეთ გავლენას  
ახდენს ადამიანის სულსა და გონებაზე, მაშინ რესპუბლიკუ-  
რი მმართველობის დროს ესოდენ დიდსულოვანი და მამაცნი  
რომაელები რატომ გახდნენ ახლა სუსტნი და სათუთნი?  
თუმცა ტემპერატურა ამ ქვეყნებში არ შეცვლილა“.

აქვე შეიძლება დავუმატოთ მეორე მაგალითი: გერმანიაში  
დაწყებული XVIII საუკუნიდან კლიმატი სრულიად არ შე-  
ცვლილა, მაგრამ ძნელია წარმოვიდგინოთ ის დიდი კონტრას-  
ტი, რომელიც ახასიათებდა XVIII საუკუნის გერმანიასა  
(როდესაც ქუხდა კანტის, შილერის, ფიხტესა და სხვათა  
გვარები) და ფაშიზმის ეპოქის გერმანიას, როდესაც გონების  
ყოველგვარი ნაპერწკალი დახშული იყო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მონტესკიეს მცდარ დებუ-  
ლებებს აკრიტიკებს აგრეთვე ქართველი მეცნიერი დავით  
ბატონიშვილი. მან თარგმნა მონტესკიეს „სულის კანონები“  
შემდეგი სახელწოდებით „გულისხმისყოფისათვის სჯულ-  
თასა“. (თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მეცნიერება“,  
4—5, 1923 წ.)<sup>2</sup>.

დავით ბატონიშვილი, ერთი მხრივ, კომენტარიებს უკეთებს  
მონტესკიეს დებულებებს და, მეორე მხრივ, პოლემიკას აწარ-  
მოებს მასთან.

<sup>1</sup> მონტესკიე ტომი ცენტრალურ აფრიკაში.

<sup>2</sup> ტ. რუხაძე. დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემ-  
კვიდრობა, ლიტერატურული ძიებანი, I, 1943.

ერთ ადგილას, სადაც მონტესკიე წერს „ცივ ადგილებზე იბადებიან ზნეობრივად უმანკო ადამიანები, რომელთაც არავითარი შური და ბოროტება არ შეუძლიათ გაივლონ გულში“, ბატონიშვილს მონტესკიეს აზრი კლიმატის ადამიანების ზნეობასა და ხასიათზე ასეთი გავლენის შესახებ მცდარად მიაჩნია.

მეორე ადგილას, სადაც მონტესკიე წერს „მცხოვრებნი ცივთა ადგილთანი იყვენენ მამაცნი, ვითა ჭაბუკი“, დავითი პასუხობს: „სცდებით, უფალო მონტესკუ. იარანალი რტიშჩევი და კნორინგი არიან მცხოვრებნი ცივისა კლიმატისანი და ბონაპარტე და მარშალი ნეი ცხელისა კლიმატისანი; ნუ თუ ზემონი სჯობდნენ ქვემოთა ბიჭად, ანუ სარდლად. სცდები, უფალო მონტესკუ. ბურნაშოვი პოლკოვნიკი იყო ცივისა კლიმატისა და ქარიმხან ცხელისა, ნუთუ ქარიმხანს სჯობდა იგი?“

XIX საუკუნიდან საზოგადოებრივი ცხოვრების გეოგრაფიული განმარტება უკვე აშკარა რეაქციულ ხასიათს ღებულობს. ევროპული ქვეყნების ბურჟუაზია რეაქციულ ძალად იქცა და მიწათმფლობელებთან კავშირში ცდილობს ჩაახშოს დაჩაგრული კლასების რევოლუციური მოძრაობა. აშკარა რეაქციისაკენ იბრუნა პირი ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამაც. ისტორიის გეოგრაფიული ახსნის ბურჟუაზიული თეორიები მიმართულ იქნა მუშათა მოძრაობის, რევოლუციური იდეების წინააღმდეგ.

გეოგრაფიული თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ინგლისელი სოციოლოგი ჰენრი თომას ბოკლი (1821—1862). თავის შრომებში „ინგლისის ცივილიზაციის ისტორია“ (სამ ტომად) ბოკლი გარემომცველი ბუნების დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი იხილავს არა მარტო კლიმატით, არამედ, მონტესკიეს საწინააღმდეგოდ, იგი ყურადღებას აქცევს გეოგრაფიული გარემოს ყველა პირობის ერთობლიობას, სახელდობრ: კლიმატს, საკვებს, ნიადაგებსა და ბუნების საერთო ზედს. ამრიგად, ბოკლი გეოგრაფიულა გარემოს გავლენის პრობლემას უფრო ფართოდ იხილავს, ვიდრე მონტესკიე.

გეოგრაფიული გარემოთი ხსნის ბოკლი არაევროპული ხალხების ცივილიზაციის დაბალ დონეს, ამართლებს რა ამიერკოლონიური ძარცვა-გლეჯისა და მონობის პოლიტიკას.

გეოგრაფიული გარემოს საკითხში ბოკლი ისე შორს წავიდა, რომ იგი რელიგიების აღმოცენებასა და არსებობასაც კი გეოგრაფიული გარემოს გავლენის შედეგს მიაწერდა. ეს გასაგებიც არის. ბოკლის „მოძღვრება“ წარმოიშვა მაშინ, როდესაც ინგლისმა დაიწყო კოლონიურ სამფლობელოთა დაპყრობა-გაფართოება. ამით ბოკლიმ მეცნიერულად „დაასაბუთა“ ინგლისის ბურჟუაზიის მიერ აზიისა და აფრიკის მრავალმილიონიანი ხალხების დამონება.

მართალია, გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში უარყოფდა სამღვთო-იდეალისტურ წარმოდგენას ღმერთისა და ზენა სულის შესახებ — როგორც საზოგადოებრივი განვითარების პირველ წყაროს, მაგრამ ეს იყო ანტიფეოდალური, პოლიტიკური მიმართულება, რომელიც მზარდი ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული თეორიები გამოყენებულ იქნა ფეოდალური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. იგი ვერ გაცილდა ისტორიის იდეალისტური გაგების ჩარჩოებს და გადაიქცა იდეოლოგიურ იარაღად ბურჟუაზიული ქვეყნების მიერ სხვა ხალხების ექსპლოატაციის გასამართლებლად.

XIX საუკუნიდან ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში გეოგრაფიული თეორიები არ გაცილებია მონტესკიესა და განსაკუთრებით ბოკლის შეხედულებებს. სოციოლოგიურ აზროვნებას ამ მიმართულებით არ განუცოია და არც შეეძლო განეცადა შემდგომი განვითარება. ხასიათი გამოხატულია ფაქტალიზმში, რადგანაც ამ მიმართულების წარმომადგენლები აღიარებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინასწარ განსაზღვრულობას გეოგრაფიული პირობებით; ეს კი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზროვნების სისუსტეზე მიგვიჩივითებს.

ამ მიმართულების დასახსიათებლად ხშირად იყენებენ ტერმინს „გეოგრაფიული მატერიალიზმი“, რაც არაა სწორი. სინამდვილეში გეოგრაფიული მიმართულების წარმომად-

გენელთა თეორიებში ვულგარულ-მატერიალისტური ელემენტები შეხამებულია ისტორიის თავადებულ-იდეალისტურ, ავანტურისტულ მიდგომასთან. ისტორიაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მიმდევართა გარდა არავის გააჩნდა და არ გააჩნია ისტორიული პროცესის მეცნიერულ-მატერიალისტური გაგება. ამიტომ საბოლოოდ ყველა დანარჩენი გაგება არამატერიალისტური, იდეალისტური და არამეცნიერულია.

\*  
\*  
\*

საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს განმსაზღვრელ ფაქტორს აღიარებდნენ აგრეთვე მეცნიერები: ფორსტერი და ჰერდერი, ციმერმანი და პეშელი, რატცელი და რეკლეუ, ვიდალ დე ლა-ბლასი და სხვ., მაგრამ მათ, წინა მეცნიერებთან შედარებით, ახალი, ორიგინალური თეორიები არ წამოუყენებიათ. პეშელმა ძველ იდეებს ზოგი რამ ახალი დაუმატა; მაგ., ხმელეთის ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრება, ქვეყნის მდებარეობა და მისი დამოკიდებულება სანაოსნო გზების—ოკეანეების, ზღვებისა და მდინარეების მიმართ და სხვ.

რ. ფორსტერმა გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მოსახლეობის რაოდენობასა და სიმჭიდროვეს, რაც თითქოს საზოგადოების ფიზიონომიის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, რიგი ბურჟუაზიული სოციოლოგები მოსახლეობას აღიარებდნენ საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ძალად. ისინი ცდილობდნენ მოსახლეობაში ეპოვათ საზოგადოების ცხოვრების მამოძრავებელი ძალების კანონები. ასე მაგალითად, XIX საუკუნის ინგლისელი სოციოლოგის სპენსერის აზრით, მოსახლეობა იწვევს ადამიანთა არსებობის პირობების ცვალებადობას, აიძულებს ადამიანებს ახლებურად შეეგუონ გარემომცველ ბუნებას, შეცვალონ საზოგადოებრივი წესები.

საფრანგეთის ბურჟუაზიული სოციოლოგი ჟან სტეცელი წერდა: „სრულიადაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყ-

ვით, რომ დემოგრაფია ფართო გაგებით მართავს სოციალურ ცხოვრებას“.

რუსი ბურჟუაზიული ისტორიკოსი მ. კოვალევსკი<sup>1</sup> ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ზრდა იყო ის ძალა, რომელიც წარმართავდა საზოგადოების განვითარების მსვლელობას. ამასთანავე, მას მოსახლეობის ზრდა საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ პირობად მიაჩნია. ასე მაგალითად, ინგლისელმა ეკონომისტმა კულტმსახურმა მალთუსმა წამოაყენა ახალი „კანონი“, რომლის თანახმად, თურმე, მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობს გეომეტრიული პროგრესიით (1, 2, 4, 8, 16, 32 და ა. შ.), ხოლო არსებობის საშუალებანი კი იზრდებიან არითმეტიკული პროგრესიით (1, 2, 3, 4, 5, 6, და ა. შ.). ამაშია თითქოს მოსახლეობისა და არსებობის საშუალებათა ზრდის „შეუფარდებლობა“, რაც, მალთუსის აზრით, იწვევს მშრომელთა შიმშილს, სიღარიბეს, უმუშევრობასა და სხვა უბედურებებს.

მალთუსის ეს „კანონი“, მოცემული შიშ წიგნში „ცდა მოსახლეობის კანონის შესახებ“, ამართლებდა ინგლისში არსებულ მზარდ სიღატაკესა და უმუშევრობას. მალთუსი ცდილობდა კაპიტალიზმისათვის მოეხსნა მთელი პასუხისმგებლობა მშრომელთა სიღარიბისა და უმუშევრობისათვის და ბუნებისათვის დაებრალებინა.

მალთუსის „დასკვნები“ მცდარია და მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს. როგორც ცნობილია, XIX—XX საუკუნეებში საწარმოო ძალები და საზოგადოების სიმდიდრე უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მოსახლეობა, მაგრამ მთელ სიმდიდრეს ბურჟუაზია ითვისებდა. ამიტომ გასაგებია, რომ მშრომელთა სიღატაკისა და უმუშევრობის მიზეზია არა ბუნება და მისი კანონები, არამედ თვით კაპიტალისტური სისტემა.

<sup>1</sup> М. Ковалевский. Развитие народного хозяйства в Западной Европе. Изд. 2, 1899.

ლენინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მალთუსის კრუმეცნიერულ „თეორიებს“. მალთუსის ლაჩარ, კაცთმოდულე „თეორიებს“ ლენინმა დაუპირისპირა მუშათა კლასის დიადი და მოწინავე მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ღრმა ისტორიული ოპტიმიზმით.

„მუშათა კლასი კი არ იღუპება, არამედ იზრდება, მაგრდება, გაუკაცდება, მჭიდროვდება, ცნობიერდება და კაჟდება ბრძოლაში. ჩვენ პესიმისტები ვართ ბატონყმობის, კაპიტალიზმისა და წვრილი წარმოების მიმართ, მაგრამ ჩვენ მხურვალე ოპტიმისტები ვართ მუშათა მოძრაობისა და მისი მიზნების მიმართ. ჩვენ უკვე საძირკველს ვუყრით ახალ შენობას, და ჩვენი შვილები დაამთავრებენ მის აშენებას.

აი ამიტომ, და მხოლოდ ამიტომ, ჩვენ უეჭველი მტრება ვართ ნეომალთუსიანობისა, ამ მიმდინარეობისა, რომელიც სანუკვარია მეშხანური წყვილისათვის, ჩამორჩენილ და თაყმომწონე წყვილისათვის, რომელიც შეშინებული ბუზღუნებს: ღმერთმა ჰქნას, რომ როგორმე თავი გავიტანოთ, შვილები კი უმჯობესია არ ვიყოლიოთო...

შეგნებული მუშები ყოველთვის ფრიად დაუნდობლად შეებრძოლებიან იმის ცდას, რომ ეს რეაქციული და ლაჩრული მოძღვრება თავს მოახვიონ თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერ, დიადი გარდაქმნებისათვის ყველაზე უფრო მზადმყოფ კლასს<sup>1</sup>.

მალთუსის მიმდევარი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფაშისტი ვილიამ ფოგტი კიდევ უფრო შორს წავიდა და „განავითარა“ მალთუსის „თეორია“. 1948 წელს მან გამოსცა წიგნი „გზა ხსნისაკენ“. თავის „შრომაში“ ეს პირწავარდნილი ჯალათი ამტკიცებს, რომ ყველაზე საჭირო და აუცილებელი ღონისძიება არის შობადობის შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა და ბუნებრივი საწარმოო რესურსების აღდგენა. მეცნიერის სამოსელში გახვეული ეს კაცთმოდულე „ამტკიცებს“, რომ ბუნებრივი რესურსები განსაზღვრულია, ხოლო შობადობა განსაკუთრებით მაღალია. ამიტომ მან „გამოიანგარიშა,“

<sup>1</sup> ვ. ლენინი. თხზ. ტ. 19; IV გამ., გვ. 272—273.



რომ დედამიწას თითქოს შეუძლია გამოკვებოს არა უმეტეს ერთი მილიარდი ადამიანისა, ხოლო მილიარდზე მეტი ადამიანი ზედმეტია და საჭიროა მათი მოსპობა. ფოგტს ჭარბდასახლებულ ქვეყნებად განსაკუთრებით მიაჩნია ჩინეთი, ინდოეთი, ევროპის კონტინენტი, სადაც, მისი აზრით, სასურველია შიმშილი, ეპიდემიების გავრცელება, სიკვდილიანობის ზრდა და სხვა ღონისძიებები, რაც შეამცირებს „ზედმეტ“ ხალხს. მალთუსის, ფოგტისა და სხვა ბურჟუაზიულ რეაქციონერ „მეცნიერთა“ მსგავსი „თეორიები“ ანტიმეცნიერულია. მალთუსისა და მისი მიმდევრების ეს „თეორიები“ მხოლოდ იდეოლოგიური ნიღაბია იმპერიალისტური რეაქციის დაფარვისა და გამართლებისათვის.

გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, ოცნებობდნენ რა მსოფლიო ბატონობაზე, ცდილობდნენ მოესპოთ მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილი. ცხადია, ისინი პირველ რიგში ხელმძღვანელობდნენ თანამედროვე მალთუსიანელთა „თეორიებით“.

ქალაქ ხაბაროვსკში, სასამართლო პროცესზე იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მსახურთა, სამხედრო დამნაშავეთა საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ იაპონელი იმპერიალისტები ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ ომს და ამუშავებდნენ ხალხთა მასობრივი მოსპობის ყველაზე უფრო ეფექტურ საშუალებებსა და მეთოდებს. მხოლოდ საბჭოთა არმიის გამანადგურებელმა დარტყმებმა გადაარჩინა კაცობრიობა ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებისაგან. კაცობრიობის მტრებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „ადამიანები შეადგენენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა აუცილებელ ელემენტს, და ადამიანთა გარკვეული მინიმუმის არსებობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების რაიმე მატერიალური ცხოვრება“<sup>1</sup>.

რიგი პირობებისა და, უმთავრესად, საზოგადოებრივი წყობის ხასიათისაგან დამოკიდებით, ხალხთა მოსახლეობა გარკვე-

<sup>1</sup> საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, თბ., 1950, გვ. 146.



ულ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, აჩქარებს ან ანელებს საზოგადოების განვითარებას, მაგრამ იგი არ წარმოადგენს საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს.

ამხანაგი სტალინი წერს, რომ მოსახლეობა თავისთავად არ იძლევა გასაღებს იმის ასახსნელად, თუ რატომ შეიცვალა აღებული საზოგადოებრივი წყობილება მეორე წყობილებით, ან თუ რატომ შეიცვალა პირველყოფილ-თემური წყობილება მონათმფლობელური წყობილებით, მონათმფლობელური—ფეოდალურით, ფეოდალური — ბურჟუაზიულით და სხვ. ამხანაგმა სტალინმა შესანიშნავად დაამტკიცა, რომ მართო მოსახლეობით ვერ ავსხნით საზოგადოების წყობის ან წარმოებითი ურთიერთობის ძირითადი ტიპების ცვლებადობას.

„მოსახლეობის ზრდა საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალას რომ წარმოადგენდეს, მოსახლეობის უფრო მაღალ სიმჭიდროვეს აუცილებლად უნდა გამოეწვია საზოგადოებრივი წყობილების შესაბამისად უფრო მაღალი ტიპი. მაგრამ სინამდვილეში ამას ვერ ვხედავთ... ბელგიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე 19-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, და 26-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სსრ კავშირში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ბელგიაზე უფრო მაღლა დგანან საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, სსრ კავშირს კი ბელგია მთელი ისტორიული ეპოქით ჩამორჩა, ვინაიდან ბელგიაში კაპიტალისტური წყობილება ბატონობს, მაშინ როდესაც სსრ კავშირმა უკვე ბოლო მოუღო კაპიტალიზმს და დაიბყარა სოციალისტური წყობილება.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოსახლეობის ზრდა არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს საზოგადოების განვითარების მთავარ ძალას, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათის, საზოგადოების ფიზიონომიის განმსაზღვრელ ძალას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, თბ., 1950, გვ. 147.

საბჭოთა კავშირში სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ არნახული შესაძლებლობანი შექმნა საზოგადოებრივი საწარმოო ძალების განვითარებისათვის. გაიზარდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და უარყოფილ იქნა ბურჟუაზიულ მეცნიერთა ცრუთეორიები ბუნებრივი რესურსების განსაზღვრულობის შესახებ. ეს მოვლენა განსაკუთრებით შესამჩნევია ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირში, სადაც, — როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს — „ახლა ყველანი ამბობენ — მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა, ცხოვრება გაუმჯობესდა, უფრო საამური გახდაო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ ამას ის მოსდევს, რომ მოსახლეობა ახლა გაცილებით უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე ძველად მრავლდებოდა. სიკვდილიანობამ იკლო, დაბადებულთა რიცხვმა იმატა, და მოსახლეობის წმინდა მატება გაცილებით უფრო დიდი გამოდის. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, და ჩვენ ამას მივესალმებით“<sup>1</sup>.

ამრიგად, საზოგადოების განვითარება, საზოგადოების ცხოვრების ხასიათის ცვალებადობა არ შეიძლება ავხსნათ არც გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებით, არც ხალხთა მოსახლეობის ზრდით. საზოგადოების განვითარება და საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი განისაზღვრება მატერიალური პირობების წარმოების წესის ხასიათით, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემის მთავარი ძალაა.

## 2. გეოკოლოგიკა — იმპერიალისტური ექსპანსიის დოქტრინა

ინგლისსა და ამერიკაში უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიულ სოციოლოგთა მრავალი შრომა გამოვიდა. ერთი ჯგუფი სოციოლოგებისა ხელოვნურად ქმნის ახალ „თეორიებსა“ და პიპოთეზებს, მათი მიზანია დაიცვან თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება ყოველგვარი წინააღმდეგობისა და კრიტი-

<sup>1</sup> კრებული — ვ. ლენინი და ი. სტალინი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. თბ., 1946, გვ. 261.

კისაგან, დაასაბუთონ თავიანთი მმართველი წრეების შინაგანი და საგარეო პოლიტიკა.

სოციოლოგთა მეორე ჯგუფი, როგორც წესი, იმავე მიზანს ემსახურება, მაგრამ უპირატესად საზრდოობს წინამორბედ მეცნიერთა იდეებით.

იმპერიალიზმის ეპოქაში შექმნილი ახალი თეორიების უაზრობაზე მიუთითებს ზოგიერთი თვით ბურჟუაზიული მეცნიერიც. ასე მაგ., ამერიკელი მეცნიერი სტეინერი თავის სტატიაში „უერთიერთდამოკიდებულება გეოგრაფიასა და პოლიტიკას შორის“ წერს, რომ „XIX—XX საუკუნეებში გეოგრაფიული დეტერმინიზმი გადაიქცა მისტიური უკიდურესობის მსხვერპლად. გეოგრაფიული დეტერმინიზმის კულტმა მიგვიყვანა არამეცნიერულ მტკიცებამდე იმის შესახებ, რომ გეოგრაფიული გარემოს გავლენა ადამიანისაგან ქმნის უბრალო ცხოველს, რომელიც შეგნებულნი ნებისყოფის გამო უძლურია თავი დააღწიოს არსებულ ბედს“.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის ერთ-ერთი შემქმნელია გეოპოლიტიკის „მამამთავარი“ ფრიდრიხ რატცელი (1844—1904), რომელსაც მიაწერენ აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური გეოგრაფიის შექმნასაც. თავის შრომებში „ანთროპოგეოგრაფია“ (1882) და „პოლიტიკური გეოგრაფია“ (1897) მან საფუძვლები ჩაუყარა ფაშისტურ გეოპოლიტიკას და ეს „თეორიული საფუძველი“ უცვლელი რჩებოდა რატცელის შემდგომ გეოპოლიტიკოსთა შრომებში.

იმპერიალიზმის ეპოქაში გეოგრაფიული „თეორია“ „გეოპოლიტიკის“ სახელით გამოდის. „გეოპოლიტიკის“ თეორიამ დიდი განვითარება ჰპოვა XX საუკუნის დასაწყისში და ეს ახალი მიმართულება ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში გამოყენებულბია მსოფლიოს დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, ახალი ომებისა და კოლონიური ძარცვა-გლეჯის გასამართლებლად.

„გეოპოლიტიკის“—ამ ცრუმეცნიერების ფორმირებისა და გავრცელების ბუდე იყო ფაშისტური გერმანია, სადაც „გეოპოლიტიკა“ რასიულ „თეორიასთან“ ერთად გერმანიის იმპე-


რიალიზმის ინტერესების გამომხატველი - და კოლონიური ექსპანსიის გამართლების საშუალებას წარმოადგენდა.

„გეოპოლიტიკური თეორიის“ ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება შვედი რეაქციონერი და გერმანოფილი ჩელენი (1864—1922 წწ.). მან შეაგსო და განავითარა გერმანელი გეოგრაფისა და ეთნოგრაფის ფ. რატცელის იდეები. პირველმა იხმარა ტერმინი „გეოპოლიტიკა“ და თავისი მოსაზრებები ჩამოაყალიბა ორ შრომაში: „სახელმწიფო, როგორც ცხოვრების ფორმა“ და „გეოპოლიტიკის სისტემის საფუძვლები“.

რატცელისა და ჩელენის აზრით, სახელმწიფოს უნდა ახასიათებდეს სამი მთავარი გეოგრაფიული კატეგორია: სახელმწიფოს ტერიტორიის ოდენობა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრების ხასიათი. „გეოპოლიტიკის“ ამ ფუძემდებელთა აზრით, ზემოაღნიშნული გეოგრაფიული კატეგორიები განსაზღვრავენ სახელმწიფოს ძლიერებას და რომ მცირე პლანეტაზე სივრცე საკმარისია მხოლოდ ერთი დიდი სახელმწიფოსათვის (იგულისხმება გერმანია ახლო მიმდებარე ტერიტორიებით).

გეოპოლიტიკოსების კონცეფცია „ბუნებრივი საზღვრების“ შესახებ წარმოადგენს ბუნებრივ დანამატს იმ მეცნიერებისას, რომელსაც „სასიცოცხლო ფართობი“ ეწოდება. სხვისი ტერიტორიების შემოერთება და ახალი საზღვრებას დადგენა, გეოპოლიტიკოსების აზრით, არის მხოლოდ დროებითი შესვენება ახალ დაპყრობათა წინ. ასეთი მსჯელობა რომ გაამართლონ, ისინი იშველიებენ „ბუნებრივი საზღვრების“ გეოგრაფიულ მცნებას. აქ პირველ რიგში იგულისხმება ფიზიკურ-გეოგრაფიული ელემენტები მთაგრეხილებისა და წყლის აუზების სახით, ამიტომ გეოპოლიტიკოსები მოუწოდებენ ძლიერ სახელმწიფოებს, ძალდატანების გზით შესცვალონ არსებული პოლიტიკური საზღვრები იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიტიკური საზღვრები „არ შეეფარდება „ბუნებრივ საზღვრებს“ (ასეთ შემთხვევებს კი ისინი სპეციალურად ქმნიან).

პიტლერული გერმანიის რეაქციულმა იდეოლოგებმა „გეოპოლიტიკის თეორია“ გამოიყენეს ფაშისტური აგრესიული გეგმების განხორციელების გასამართლებლად. მეორე მსოფ-



ლიო ომის შემდეგ „გეოპოლიტიკა“ წარმოადგენს ინგლისელ და ამერიკელ სოციოლოგთა დასაყრდენს ახალი მტაცებლური ომის გასაჩაღებლად.

თანამედროვე ინგლისელი და ამერიკელი „მეცნიერები“ თავიანთ „თეორიულ“ გამოკვლევებში იმეორებენ წარსული პერიოდის დრომოჭმულ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ დოქტრინებს. ესაა ეპიგონური, სოციოლოგია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მასში არ არის რაიმე შემოქმედებითი, რაიმე ორიგინალური, ხშირად ისინი ძველ და უარყოფილ იდეებს უმატებენ ახალ არგუმენტაციებს, მაგრამ არსებითად ბურჟუაზიულ მეცნიერებას არ ძალუძს დაუმატოს რაიმე იმას, რაც უკვე ითქვა ათეული ან ასეული წლის წინათ.

მეორე მსოფლიო ომში კრაზი განიცადა და მეორეხარისხიანი სახელმწიფოებად გადაიქცნენ ფაშისტური გერმანია (დასავლეთ გერმანია), იტალია და იაპონია. შესუსტდა მათი სამხედრო ძლიერება, თუმცა ისინი, თავის მხრივ, მაინც უკვე წარმოადგენენ საყრდენს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მესამე იმპერიალისტური ომის გასაჩაღებლად სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო რეაქციას და აშკარად ატარებს დაპყრობით საგარეო პოლიტიკას. „ამერიკის შეერთებული შტატების ახალი, ექსპანსიონისტური კურსი; — ამბობდა ამხანაგი ჟდანოვი, — ამოცანად ისახავს ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის დამყარებას“<sup>1</sup>.

ამერიკის ექსპანსიონისტური კურსის მაჩვენებელია აშკარა სამხედრო ინტერვენცია ჩინეთში (1945—1949 წლებში), ჩინეთის კუთვნილ კუნძულ ტაივანის ოკუპაცია, შეიარაღებული ინტერვენცია კორეაში და სხვა მრავალი. ძალისა და დოლარის პოლიტიკას ამერიკელები „გეოპოლიტიკით“ ასაბუთებენ.

ტერმინი „გეოპოლიტიკა“, ისევე როგორც პოლიტიკური გეოგრაფია, ორი სიტყვისაგანაა შემდგარი: გეოგრაფია და

<sup>1</sup> ა. ჟდანოვი — საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. თბ., 1947, გვ. 11.

პოლიტიკა, მაგრამ „გეოპოლიტიკა“ ძირფესვიანად განსხვავდება პოლიტიკური გეოგრაფიისაგან.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური გეოგრაფია აღწევს სხვადასხვა სახელმწიფოთა შედარებით მდებარეობას მსოფლიოში და წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება და როგორია მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკური რუკა. „გეოპოლიტიკა“ ეს პოლიტიკური გეოგრაფიის დამახინჯებაა, როდესაც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა აღიარებულია საფუძვლად და თითქმის ეს უკანასკნელი წარმართავს აღებული ქვეყნის ექსპანსიის მუდმივ პოლიტიკას. ამიტომ შემთხვევითი როდია ის ფაქტიც, რომ „გეოპოლიტიკა“ და რასიზმი, ეს ფაშისტური ცრუმეცნიერებანი, ამეოკელმა იმპერიალისტებმა ჰიტლერული გერმანიიდან მემკვიდრეობით მიიღეს.

„გეოპოლიტიკა“ ესაა მსოფლიო ექსპანსიის დასაბუთება, მილიტარიზმის ძალის კულტისა და აგრესიის უტიფარი პროპაგანდა. „გეოპოლიტიკის“ მთავარი მიზანია იმპერიალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა წარმოადგინოს როგორც შედეგი აღებული ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებისა.

თანამედროვე რასისტები ცდილობენ „დაამტკიცონ“ ინგლისელთა და ამერიკელთა მსოფლიო ბატონობის აუცილებლობა ბიოლოგიისა და ანთროპოლოგიის ფალსიფიკაციით, სოციალური დარვინიზმისა და ვეისმან-მორგანის ანტიმეცნიერული თეორიებით. ამ მიზნით ინგლისელი და ამერიკელი გეოპოლიტიკოსები სხვადასხვაგვარ ცრუმეცნიერულ თეორიებსა და მანკიერ სამხედრო სტრატეგიულ დოქტრინებს ებლაუჭებიან.

„გეოპოლიტიკასა“ და რასიზმს შორის არსებობს უშუალო „თეორიული“ ურთიერთკავშირი. რასისტები ცდილობენ თავიანთი ერთი რასის მითითურა უპირატესობა დაამტკიცონ აღებული ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი პარობებითა და „გეოგრაფიული ბედით“. „გეოპოლიტიკოსები“ ეყრდნობიან არა გეოგრაფიას, არამედ თავისი რასის „ცივილიზატორულ“ მისიას. კოსმოპოლიტიზმის იდეა აგრეთვე მჭიდროდაა დაკავ-

შირებული ფაშისტური იდეოლოგიის საფუძვლებთან — რასიზმთან და „გეოპოლიტიკასთან“. ამრიგად, კოსმოპოლიტიზმი შეეზარდა რასიზმსა და „გეოპოლიტიკას“.

თანამედროვე ამერიკული „გეოპოლიტიკის“ ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია ამერიკის გეოგრაფიული სკოლის ხელმძღვანელი, პროფ. ე. ჰენტინგტონი, რომელიც ძირითადად მაინც ბოკლისა და მონტესკიეს იდეებს ეყრდნობა. ჰენტინგტონის ორი უკანასკნელი შრომა „ცივილიზაცია და კლიმატი“ (1935) და „ცივილიზაციის საწყისები“ (1945) აღსავსეა ფსევდოთეორიული დებულებებით. ავტორი მხედველობაში არ იღებს ეკონომიურ ფაქტორს, როგორც ძალას, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. ჰენტინგტონის შრომათა დედააზრი ისაა, რომ ადამიანი თითქოს ვერ გაუმკლავდება ბუნების ბნელ ძალებს და ვალდებულია დაემორჩილოს ბრმა სტიქიას ან, უკეთეს შემთხვევაში, შეიცნოს ბუნებრივ მოვლენათა ცალკეული მომენტები.

ჰენტინგტონი თავის შრომებში სპეციალურად შერჩეული სტატისტიკური ცხრილებით ცდილობს დაასაბუთოს ინგლის-საქსონური წარმოშობის ხალხების, საერთოდ, და, უპირატესად, ამერიკის შეერთებული შტატების „განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა“ და „ცივილიზატორული ამოცანები“. ამ მიზნით იგი იშველიებს ფიზიკურ გეოგრაფიას და აგრეთვე ბუნებრივი შერჩევის ყბადაღებულ თეორიას. ცდილობს რა დაასაბუთოს თავისი დებულება მთელ მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების „ბუნებით დადგენილი ხელმძღვანელი როლის“ შესახებ, ჰენტინგტონი „ამტყიცებს“, რომ მსოფლიოში მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია ყველაზე აქტიური კლიმატი. ამიტომ, ასეთი კლიმატი ხელს უწყობს არა მარტო ბამბისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების კარგ მოსავალს, არამედ თავის სასარგებლო გავლენას ახდენს ამერიკელი „ზეადამიანის“ ჯიშის გამოყვანაზე. ჰენტინგტონის „კვლევის“ რასიული ხასიათი განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატული მაშინ, როდესაც იგი იხილავს „ერის სიცოცხლისუნარიანობის“ საკითხს. უამრავ ცხრილებში ტენდენციურად შერჩეული და ფალსიფიცირე-



ბულია სოციალ-ეკონომიური მაჩვენებლები, რომელთა თანახმად ყველგან პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხალხებია გამოყვანილი, როგორც, თითქოს, მსოფლიოს ყველაზე მოწინავე, სიცოცხლისუნარიანი ხალხები.

ჰენტიგტონის მიერ გამოგონილი რასიული თეორია „შერჩეული ჯგუფების შესახებ“ მიზნად ისახავს „დაამტკიცოს“ ინგლის-საქსების მითითური „სიცოცხლისუნარიანობა“. ამ მიზნით ჰენტიგტონს დარვინის მიერ აღმოჩენილი ცხოველთა სამყაროს განვითარების კანონი ადამიანთა საზოგადოებაზე გადააქვს. ევგენიკა—ცრუმეცნიერება—უმადლესი ტიპის ადამიანების ხელოვნურად გამოყვანის შესახებ, როგორც ცნობილია, ეყრდნობა ანტიმეცნიერულ ვეისმან-მორგანისტულ გენეტიკას და წარმოადგენს ქვაკუთხედს არა მარტო გერმანელი ფაშისტებისათვის, არამედ ამერაკელი რასისტებისა და ნეოფაშისტებისათვის. ჰენტიგტონის მიზანია ასეთი ცრუ დებულებებით მიჩქმალოს კლასობრივი ბრძოლა, გაამართლოს იმპერიალისტების მიერ კოლონიური და ნახევრად კოლონიური ხალხების ულმობელი ექსპლოატაცია და ამერიკელ ხალხებს ჩაუნერგოს ექსპანსიური სულისკვეთება.

ჰენტიგტონი სსრ კავშირის ულმობელი მტერია. მისი აზრით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რუსეთში არასასურველი შემთხვევა იყო, რომელიც ასე თუ ისე მოსპობილ იქნებაო. ცხადია, აქ იგი პირველ რიგში კაპიტალიზმის რესტავრაციას გულისხმობს და შემთხვევითი როდია ის ფაქტიც, რომ ეს „მეცნიერი“ ჯერ კიდევ 1940 წელს ოფიციალურად რეგისტრირებულ იქნა მოფაშისტო, შავრაზმული ორგანიზაციის კომიტეტში („პირველ რიგში ამერიკა“) და სწორედ მისმა უახლოესმა მეგობრებმა შეთითხნეს წიგნი „ატომის იარაღი“, სადაც „მეცნიერულად“ დასაბუთებულია ატომის ბომბებით მილიონობით საბჭოთა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ადამიანთა მოსპობის აუცილებლობა.

ჰენტიგტონის შემდეგ აღსანიშნავია ამერიკელი სოციოლოგი და „პოლიტიკოსი“ სპიკმენი—ავტორი ყბადაღებული წიგნისა „ამერიკის სტრატეგია მსოფლიოს პოლიტიკაში“. სპიკ-

მენი და მისი მიმდევრები „ვერ ამჩნევენ“ საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობებს, „ვერ ხედავენ“ კლასობრივ ბრძოლას. მათთვის გაუგებარია წინააღმდეგობის არსებობა შრომასა და კაპიტალს შორის. ისინი ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავენ „მუდმივი“ და „უცვლელი“ გეოგრაფიული ფაქტორებით. ამერიკელი გეოპოლიტიკოსების „მტკიცებით“ თითქოს გეოგრაფიული მდებარეობა და მდგომარეობა განსაზღვრავს სახელმწიფოს შინაგან სტრუქტურას და მის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. ამიტომ, სპიკმენი „დაასკვნის“, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მეტად დაინტერესებულია ლათინურ ამერიკასა და კანადაზე (!) ბატონობით და გავლენის გაძლიერებით დანარჩენ ქვეყნებში (აზია, ევროპა, აფრიკა, ავსტრალია...). სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ გეოგრაფიული „მიზანშეწონილობით“ ამერიკელები თანდათანობით ერეკებიან ინგლისელებს დომინიონებისა და კოლონიებიდან, ინგლისურ კაპიტალს სულ უფრო და უფრო სცვლის ამერიკული კაპიტალი.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისი იძულებული გახდა ამერიკელებისათვის დაეთმო თავისი სამხედრო ბაზები ბრიტანეთის გვიანაში, ბერმუდისა და ბაჰამის კუნძულებზე. ამერიკელმა სოციოლოგებმა ეს ამბავი „გეოგრაფიულ სამართლიანობად“ აღიარეს და სერიოზულად „ამტკიცებდნენ“, რომ „ეს მხოლოდ დასაწყისია“ და რომ თვით „გეოგრაფია“ აიძულებს ინგლისს ახალ დათმობებზე წავიდეს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.

საბოლოოდ სპიკმენი იმ „დასკვნამდე“ მიდის, რომ მსოფლიო უნდა მართოს ამერიკის კაპიტალმა.

სპიკმენის აზრით, მხოლოდ გეოგრაფია ქმნის წინამძღვრებს ამა თუ იმ ქვეყნის ბატონობისათვის მთელ მსოფლიოში. ეს პროცესი ხდება არა სტიქიურად, არამედ ომების საშუალებით. ამით სპიკმენი ახალ ომს, დაპყრობით ომს „ცივილიზირებული ცხოვრების“ უმაღლეს პრინციპად აცხადებს. ამრიგად, გეოპოლიტიკური სოციოლოგიის საბაზით ამერიკელი

ექსპანსიონისტები ამართლებენ და ასაბუთებენ თავიანთ მტაცებლურ გეგმებს.

თავისი ექსპანსიონიზმი უფრო ნათლად გამოხატა ამერიკელმა „მეცნიერმა“ ჯორჯ უელერმა. მან ამერიკის იმპერიალიზმის მტაცებლური გეგმების დასაცავად დასწერა სოციოლოგიური და პოლიტიკური ტრაქტატი „ზღვისიქითური ბაზები“. უელერი, ისევე როგორც გერმანელი ფაშისტები, ამერიკელი ფინანსიური კაპიტალისათვის მოითხოვს სასიცოცხლო სივრცეს. მას მთელი კაცობრიობის ისტორია წარმოუდგენია როგორც ბრძოლა ძლიერსა და სუსტ სახელმწიფოებს შორის დევიზით „ადამიანი ადამიანის მტერია“ და წინადადებას იძლევა, რათა საზოგადოებამ უარყოს მშვიდობიანობა პოლიტიკაში, როგორც უვარგისი და არავისათვის საჭირო სენტიმენტალობა. უელერის აზრით, ექსპანსიონიზმი გადაიქცევა მარად და უწყევ ბუნებრივ კანონად. ამიტომ, იმპერიალისტების ეს ლაქია მოუწოდებს ამერიკელებს ემზადონ ახალი ომისათვის, მსოფლიო ჰეგემონიისათვის.

ამერიკელი გეოპოლიტიკოსებისაგან არაფრით გამოირჩევიან ინგლისელი სოციოლოგები და გეოგრაფები. დაწყებული მეირინ მიტჩელიდან და დამთავრებული ვენსიტარტით, ისინი „თავაზიანად“ არ ეთანხმებიან ამერიკის პრეტენზიებს ბრიტანეთის სამფლობელოების დაპყრობაზე, ხოლო, თავის მხრივ, ხოტბას ასხამენ იმ აზრს, რომ ბრიტანეთის იმპერიის არსებობის გეოგრაფიული პირობები მოითხოვს მისგან ჰეგემონიის აღიარებას დასავლეთ ევროპაში, ახლო და შუა აღმოსავლეთ ქვეყნებში, ჩრდილო აფრიკაში და ა. შ.

ინგლისელი გეოპოლიტიკოსები ცინიკურად ამართლებენ თავიანთ ექსპანსიონისტურ გეგმებს ახლო აღმოსავლეთში იმ საბაბით, რომ პალესტინასა და, კერძოდ, მნიშვნელოვან ქალაქ-ნავსადგურ ხაიფასა და ბრიტანეთის იმპერიას შორის არსებობს „გეოგრაფიული კავშირი“. ინგლისელი იმპერიალისტები ხმელთაშუა ზღვას ხშირად „ინგლისის ზღვას“ უწოდებენ. დიდი ბრიტანეთის გეოპოლიტიკოსების თვალსაზრისით, ასეთივე „ინგლისის ზღვას“ წარმოადგენს ატლანტის ოკეანეც.

ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის. ასე მაგ., ინგლისელი სოციოლოგი გუჩი იმეორებს ფრანგი ეკონომისტის ჟან ბოდენის იდეას და, თავის მხრივ, გერმანელების სამხედრო ძლიერებას გერმანიის გეოგრაფიული მდებარეობითა და, მიიწვევს რიგში, გერმანიის ზედაპირის მოყვანილობით (უპირატესად დაბლობებით) ასაბუთებს. მაშასადამე, გუჩის აზრით, აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში გერმანელი ერის მეზობელ ხასიათს, როგორც ბუნებრივს და, მაშასადამე, დაუძლეველი გეოგრაფიული წინამძღვრების შედეგს. აზრი გასაგებია. ინგლისელი და ამერიკელი რეაქციონერები ოცნებობენ აგრესიული გერმანიის აღდგენაზე იმ ანგარიშით, რომ გერმანიის მილიტარიზმმა კვლავ განახორციელოს შეტევა აღმოსავლეთისაკენ სსრ კავშირისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. თანამედროვე ინგლისელი და ამერიკელი სოციოლოგები „მიუხსენელი“ პოლიტიკოსების საქმიანობას აგრძელებენ.

ამერიკელი სოციოლოგი ადლერი მეორე მსოფლიო ომის მთავარ მიზეზად აღიარებს მცირე ერების არსებობას, რომელთაც სურთ მოიპოვონ თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ადლერი წინადადებას იძლევა, უარი ეთქვას მცირე ერებს დამოუკიდებელ არსებობაზე, და მოითხოვს შეიქმნას მსოფლიო-კოსმოპოლიტური სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით. ამ „თეორიული“ მსჯელობიდან გამოდის პრაქტიკული დასკვნა: გამოცხადებულ იქნეს უკანასკნელი ომი, რომელიც უზრუნველყოფს ამერიკელთა ბატონობას მთელ მსოფლიოში.

ინგლისელი და ამერიკელი სოციოლოგები იშველიებენ თეოლოგიურ არგუმენტებსაც, რითაც მტკიცდება მათი პირდაპირი კავშირი კათოლიკურ ეკლესიასთან. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხელისუფალთ უშუალო კონტაქტი აქვთ დამყარებული რომის პაპთან, იმ მოტივით, რომ თითქოს „ისტორიის გამოცდილებით“ კათოლიკური ეკლესია მუდამ პროგრესულ როლს ასრულებდა საზოგადოების განვითარებაში(!?).

იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ სოციოლოგიას ათავითარი პრინციპები არ გააჩნია. ერთ შემთხვევაში იგი საფუძვლად იღებს რასობრივ არგუმენტაციას—მებრძოლი იმპერიალისტური შოვინიზმის იდეას,—მეორე შემთხვევაში მისი დასაყრდენია კოსმოპოლიტური არგუმენტაცია, რომელიც უარყოფს ერის დამოუკიდებელი განვითარების უფლებას. ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმი და ზოოლოგიური რასიზმი — აი, ერთი მედალის ორი მხარე.

ინგლისელი და ამერიკელი გეოპოლიტიკოსები ცდილობენ „დაამტკიცონ“, რომ თითოეული სახელმწიფოს ძლიერება გეოგრაფიული მდებარეობის შედეგია. ამით მათ სურთ უარყონ სახელმწიფოს ძლიერების დამოკიდებულება სოციალ-ეკონომიური წყობისაგან. ამ მხრივ მეტად საინტერესოა „გეოპოლიტიკის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ინგლისელი გეოგრაფის მაკინდერის მოსაზრებანი საფრანგეთისა და სსრ კავშირის გეოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ.

1940 წელს, მას შემდეგ, რაც საფრანგეთი დამარცხებულ იქნა, გერმანელებმა მოახდინეს მისი ოკუპაცია. როგორც ცნობილია, საფრანგეთი 1940 წელს დაამარცხა არა გერმანიამ, არამედ ერთი მუჭა კაპიტალისტებმა, ფრანგი ხალხის გამცემლებმა. 1943 წელს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მდგომარეობა შეიცვალა და ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირმა არა მარტო გაუძლო, არამედ დაამარცხა კიდევ პიტლერული გერმანია, რომლის არმია მანამდე უძლეველად მიაჩნდათ ევროპასა და ამერიკაში. ამასთან დაკავშირებით მაკინდერმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საფრანგეთისა და სსრ კავშირის „სტრატეგიული ძლიერების“ შედარებას.

იმის ნაცვლად, რომ ავტორს გაერკვია, თუ რატომ დამარცხდა საფრანგეთი ასე სამარცხვინოდ და, პირიქით, რამ შეუწყობ ხელი საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებს ფაშისტურ გერმანიაზე, ამ „მეცნიერმა“ ხელი მიჰყო იაფფასიან გეოგრაფიულ პარალელებს, რომლიდანაც აკეთებს „დასკვნებს“, თითქოს ყველაფერი ეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის გეოგრა-

ფიული მდებარეობისა და განსაკუთრებით რელიეფის თავისებურებების შედეგაო. მაკინდერის აზრით, საფრანგეთს არ გააჩნდა ასეთი გეოგრაფიული უპირატესობანი და ამიტომ დამარცხებული აღმოჩნდაო.

მაკინდერის მთელი ეს უაზრო არგუმენტაცია დაფუძნებულია შემდეგ უშინაარსო დებულებებზე: „არქტიკული სანაპიროები, ლენისა და ენისეის მიუდგომელი რაიონები და მათა ჯაჭვი დაწყებული ალტაიდან და დამთავრებული ჰინდუკუშით, რომელთაც გარს აკრავს და იცავს უდაბნო გობი, მსოფლიოში უმაღლესი ზეგანი ტიბეტი და ირანი, წარმოადგენენ სამ დიდ ზღუდეს (ბარიერს), რომლებიც თავდაცვითი თვალსაზრისით დიდად აღემატებიან საფრანგეთის სანაპიროებსა და მთებსო“.

მაკინდერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე „გეოგრაფიული ფაქტორების“ შედეგია. ცხადია, ასეთი მსჯელობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. საბჭოთა კავშირისა და მისი გმირული საბჭოთა არმიის გამარჯვება შედეგია არა „გეოგრაფიული ფაქტორებისა“, არამედ საბჭოთა საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის, სოციალიზმის სისტემის უპირატესობისა სხვა სისტემებთან შედარებით და საბჭოთა ხალხის გმირული სულისკვეთებისა. საფრანგეთის დამარცხება კი იყო შედეგი რესპუბლიკის ანტიხალხური რეჟიმისა და მმართველი წრეების გამცემლობისა.

საბჭოთა კავშირის გამარჯვება ფაშისტურ გერმანიასთან ომში იმის მაჩვენებელია, რომ გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ; რომ გაიმარჯვა საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ; რომ გაიმარჯვა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა. კიდევ მეტიც: „დიდ სამამულო ომში, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — საბჭოთა ჯარების მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა ცხადჰყვეს წითელი არმიის დევგმირული ძლიერება და მისი მაღალი მხედრული ოსტატობა. ჩვენმა სამშობლომ ომის მსვლელობაში მიიღო პირველხარისხოვანი საკადრო არმია, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩვენი ხალხის დიადი სოციალისტური მონაპოვო“.

ვარნი და უზრუნველპყოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესები<sup>1</sup>.

ძალდატანების გერმანული ფილოსოფია, როგორც ცნობილია, აღმოცენდა პრუსიის იუნკერთა აგრესიული პოლიტიკის ბაზაზე და შემდეგში განავითარეს ჰიტლერელებმა. თუ ათიოდე წლის წინათ რეაქციის დროშა ხელთ ეპყრათ ფაშისტური გერმანიის „სოციოლოგებს“, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეაქციამ თავისი საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიტანა. „გეოპოლიტიკის“ თეორიის არსი იგივე დარჩა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მსოფლიო ცენტრად (რჩეულთა სახელმწიფო) არა ბერლინი, არამედ ვაშინგტონია გამოცხადებული.

ამერიკის იმპერიალისტები თავიანთ აგრესიულ გეგმებს ამართლებენ „ტრუმენის დოქტრინით“, „მარშალის გეგმით“, „ჩრდილო ატლანტიკის აგრესიული პაქტით“, „წყნარი ოკეანის პაქტით“, „ჩამორჩენილი ქვეყნებისადმი დახმარებით“ და სხვა. ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა „გეოპოლიტიკის“ საფარით მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფება.

„გეოპოლიტიკა“ გეოგრაფიული დეტერმინიზმის წინა სკოლიდან იმით განირჩევა, რომ იგი ყალთაბანდურად აკავშირებს ქვეყნის შინაგან და, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკის საკითხებს გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებასთან.

გეოპოლიტიკოსებს არ აინტერესებთ თეორიული საკითხები, რომლებსაც ამუშავებდნენ ძველი ფორმაციის გეოგრაფ-დეტერმინისტები, არამედ მათ გეოგრაფია იმისათვის სჭირდებათ, რომ ცალკეული ფაქტებით გაამართლონ იმპერიალისტური ექსპანსია და აგრესია.

გეოპოლიტიკოსებმა ისტორიული პროცესის ბურჟუაზიულ-გეოგრაფიული თეორია გადაიტანეს საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში, რათა „დაასაბუთონ“ იმპერიალისტთა საგარეო პოლიტიკის სისწორე და „დაამტკიცონ“ თითქოს იმპერიალისტური პოლიტიკა ნაკარნახევია არა მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებით, არამედ იგი გამომდინარეობს „მუდმივ“ გეოგრაფიულ გარემოსაგან.

<sup>1</sup> ი. სტალინი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გამ. V, თბ., 1949, გვ. 198.

„გეოპოლიტიკას“ ახასიათებს უკიდურესად ლობობისა და გახრწნის ნიშნები, რაც, ესოდენ შესამჩნევი და დამახასიათებელია იმპერიალიზმის ეპოქის იდეოლოგიებისათვის, რეაქციული გეოგრაფიული მიმართულებისათვის ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში.

იმპერიალისტური ექსპანსიის დოქტრინა—„გეოპოლიტიკა“ განწირულია დასაღუპავად ისევე, როგორც თავის დროზე კრახი განიცადა ჰიტლერელთა რასიულმა თეორიამ. ამერიკელ გეოპოლიტიკოსთა ანგარიშები სრულიად საწინააღმდეგოა საზოგადოებრივი განვითარების კანონების მიმართ, მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილის ნაციონალური ინტერესების მიმართ. გეოპოლიტიკოსებს შეუძლიათ „დაიპყრონ“ ქვეყნები მხოლოდ საკუთარ გეოგრაფიულ რუკებზე და მსოფლიოს ყველა მატერიალური ამერიკული ფერით შეღებონ, მაგრამ ისტორია იქმნება არა გეოგრაფიული რუკებითა და ნახაზებით, არამედ საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების მიხედვით; არა იმპერიალისტ პოლიტიკოსთა ხროვის მიერ, არამედ ხალხთა მასებით, რომლებიც წინ სწევენ საწარმოო ძალთა განვითარებას, ჰქმნიან ყველა მატერიალურ პირობას და თვითვე ჰქმნიან ისტორიას.

ამერიკელი ექსპანსიონისტები თავიანთ გეოპოლიტიკურ გეგმებს თხზავენ ხალხის ნება-სურვილის გარეშე, ხალხთა მრავალმილიონიანი მასების ინტერესებს საწინააღმდეგოდ. ამაშია სწორედ მიზეზი ამერიკელ მონოპოლისტთა გეოპოლიტიკური ზრახვების გარღვეული კრახისა.

### **3. გეოგრაფიული კომლუციამდელი რუსეთის საზოგადოებრივ აჯროვნებაში**

რევოლუციამდელ რუსეთში იყო ცდები, რომ ქვეყნის საზოგადოების განვითარება და ისტორიული პროცესის თავისებურებანი გეოგრაფიული პირობებით აეხსნათ. ამ მიმართულების მეცნიერთა რიგებს მიეკუთვნებიან კ. ბერი და ა. შაპოვი, ს. სოლოვიოვი და ლ. მეჩნიკოვი, ვ. კლუჩევსკი და გ. პლეხანოვი, და სხვ.



დიდი რუსი მეცნიერი კარლ ბერი (1779—1876) თავის სპეციალურ ნაშრომში „ცალკეული ხალხების სოციალურ ურთიერთობასა და კაცობრიობის ისტორიაზე გარემო ბუნების გავლენის შესახებ“ ამტკიცებს, რომ თითოეული ხალხის ბედობა და განვითარებას წინასწარ განსაზღვრავს მის მიერ დაკავებული ტერიტორიის თავისებურებანი.

დასავლეთ ევროპის სოციოლოგებისაგან განსხვავებით, კ. ბერმა მოგვცა ისტორიის ნატურალისტური კონცეპცია, ე. ი. იგი თანამიმდევრობით ცნობდა ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრების გეოგრაფიული შეპირობების საკითხს. ცხადია, ბერის მიერ ისტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიული დასაბუთება უფრო გაბედულია, ვიდრე ეს მონტესკიემ ან ბოკლიმ დასაბუთა.

კ. ბერის შეხედულებანი მცდარია, მაგრამ რუსეთის კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც გაბატონებული იყო საზოგადოების განვითარების რეაქციულ-რელიგიური განმარტებანი, ბერის შეხედულებებს პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ხელს უწყობდა მეცნიერების ავტორიტეტის ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ბერის აზრი მცდარი იყო, იმ პერიოდში, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოწინავე იდეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ნიადაგს ამზადებდნენ მატერიალისტური მსოფლმხედველობის განვითარებისათვის.

გეოგრაფიული მიმართულებების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ა. შჩაპოვი (1830—1876). მისი აზრით, გადამწყვეტი პირობა, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის იმპერიის საზღვრებს, არის კლიმატი; ამ უკანასკნელით კი თითქოს განისაზღვრება მიწათმოქმედება, ხოლო მიწათმოქმედებით—აღმოსავლეთ ევროპის დაბლობის ათვისებისა და განსახლების პრობლემა. ამრიგად, შჩაპოვმა ძველი რუსეთის ხალხთა ეკონომიური პირობები გეოგრაფიული გარემოს განმსაზღვრებლად გავლენად მიიჩნია. შჩაპოვის აზრით, გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ არა მარტო ეკონომიკას, არამედ ისინი უშუალოდ მოქმედებენ საზოგადოებაზე და

ქმნიან ადამიანთა ფიზიოლოგიურ თავისებურებებსა და სპეციფიკურ ხასიათს.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი (1820—1879) ავტორი მრავალტომიანი შრომისა „რუსეთის ისტორია“, პირდაპირ აცხადებდა, რომ „მოვლენათა მსვლელობა მუდმივად ემორჩილება ბუნებრივ პირობებს“<sup>1</sup>. თავის შრომაში მან ძირითადად ის აზრი გაატარა, თითქოს დიდი რუსეთის სახელმწიფოს შექმნა ძირითადად გეოგრაფიული პირობებით იყოს გამოწვეული, სახელდობრ, აღმოსავლეთ ევროპის დაბლობმა, მისმა მდინარეთა სისტემებმა განაპირობეს რუსეთის სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ისტორიული დაყოფა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოლოვიოვის გადახრამ გეოგრაფიზმში მაშინვე გარკვეული პროგრესული როლი ითამაშა ისტორიაზე შეხედულებათა საკითხში. მართალია, სოლოვიოვმა არ იცოდა ისტორიის განვითარების ნამდვილი კანონები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისმა დებულებებმა ლახვარი ჩასცა პოლიტიკურ-რეაქციულ კონცეფციას „მართლმადიდებელი რუსეთის“ ღვთიური წარმოშობის შესახებ.

გამოჩენილი რუსი სოციოლოგი და პუბლიცისტი ლევ მეჩნიკოვი (1838—1888), უფროსი ძმა ფიზიოლოგ ილია მეჩნიკოვისა, ახლო მეგობარი ელიზე რეკლიუსა და ჯუზეპე გარიბალდისა, თავის წიგნში „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“ (გამოვიდა ფრანგულ ენაზე 1889 წ. ელიზე რეკლიუს რედაქციით) ამტკიცებს, რომ:

ა) სხვადასხვა ერის ისტორიული ბედ-იღბლის განსხვავების მიზეზი დამოკიდებულია გეოგრაფიულ გარემოსაგან;

ბ) ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მოქმედებენ ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაზე;

გ) კულტურისა და ცივილიზაციის შექმნაში უდიდესი როლი ითამაშა უმთავრესად წყალმა, განსაკუთრებით მდინარეებმა, აარეთვე ზოგებმა და ოკეანეებმა.

ამ მხრივ მეჩნიკოვი ჰერდერის იდეათა მიმდევარია. იგი ცდილობდა თავისი თეორიისათვის ისტორიზმის ხასიათი მიე-

<sup>1</sup> С. Соловьев. История России, кн. 1, СПб, 1857, стр. 9.

ცა. ამიტომ იგი გეოგრაფიულ გარემოსთან ადამიანის დამოკიდებულების მიხედვით კაცობრიობის მთელ ისტორიას სამ პერიოდად ყოფს:

I. ძველი საუკუნეები—კულტურის სამდინარო პერიოდი (დახშული სამდინარო ცივილიზაცია), მოიცავს დიდი მდინარეების დაბლობებში ჩასახულ კულტურათა ისტორიას: ჩინეთისას— ყვითელ და ცისფერ მდინარეებზე, ინდოეთისას— ინდოსისა და განგის აუზებში მე-18 საუკუნემდე (ჩვენს ერამდე). კულტურის ეს კერები სავსებით იზოლირებული იყვნენ, ხოლო შემდეგ იწყება მათი ურთიერთობა და დაახლოება ისტორიულ ხალხებთან, რაც 800 წლამდე გრძელდებოდა (ჩვენს ერამდე);

II. საშუალო საუკუნეები—კულტურის ხმელთაშუა ზღვის პერიოდი (დახშული ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაცია), მოიცავს 25 საუკუნეს. პერიოდი კართაგენის დაარსებიდან (9 ს. ჩვ. ერამდე) კონსტანტინე დიდამდე, ხასიათდება კულტურათა დაახლოებითა და მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობით. ავტორი გამოყოფს ხმელთაშუა ზღვას, როდესაც კულტურის მთავარი კერები — ფინიკია, კართაგენი, საბერძნეთი და რომი (კეისართა დროიდან კონსტანტინე დიდამდე აღმოსავლეთ რომის იმპერიაში) თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს. შემდეგ იწყება ბიზანტიის დაარსება და ავტორი მასვე უერთებს შავი ზღვის კულტურას;

III. ახალი საუკუნეები—კულტურის საოკეანო პერიოდი, იწყება ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ხასიათდება კულტურათა შერევით და დასავლეთ ევროპის იმ დიდ სახელმწიფოთა როლის შესამჩნევი უპირატესობით, რომელთაც გასასვლელი აქვთ ატლანტიის ოკეანეში. დიდ როლს თამაშობენ ინგლისი, პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი...

მოგვიანო (თანამედროვე) პერიოდს მეჩნიკოვი უწოდებს მსოფლიო კულტურის (ცივილიზაციის) პერიოდს. აქ ემჩნევა სიმბიზის ცენტრის წყნარ ოკეანეში გადატანის ტენდენცია, თუმცა ამით ატლანტიის ოკეანის როლი არ მცირდება. არამედ ერთიანდება წყნარ ოკეანესთან. უკანასკნელ პერიოდში კულ-

ტურის ორბიტში ებმება ინდოეთისა და არქტიკის (ჩრდილო ყინულოვანი) ოკეანეები.


მეჩნიკოვმა მოგვცა კულტურის ისტორიის ანტიმარქსისტული პერიოდიზაცია და საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ფაქტორად გეოგრაფიული გარემო, კერძოდ დიდი მდინარეები აღიარა.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა შევნიშნოთ, რომ მეჩნიკოვის მსჯელობაში არის რაციონალური მარცვალი. იმ დროს გაბატონებული მისტიციზმისა და იდეალიზმის წინააღმდეგ, მეჩნიკოვი საფუძვლად იღებდა რეალურ ბუნებას, როგორც წინამძღვრებს, ანუ პირობებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრებისათვის. მართლაც, როგორც ცნობილია, დიდი ისტორიული მდინარეები გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში წარმოადგენდნენ ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას.

მეჩნიკოვი იყო მემარცხენე, პროგრესული მოღვაწე და ორიგინალური მოაზროვნე რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იყო ცარიზმის მოწინააღმდეგე, კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ეკონომიურად ჩამორჩენილი ხალხების კოლონიური დამონების მოწინააღმდეგე, რასიული თეორიისა და ხალხის „რჩეულებად“ და „განკიცხულებად“, „სრულფასოვან“ და „არასრულფასოვან“ ჯგუფებად დაყოფის მოწინააღმდეგე. მეჩნიკოვი ამ რასიულ „თეორიებს“ სამართლიანად უწოდებდა ცრუმეცნიერულს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეჩნიკოვის თეორიამ დიდი გამოხმაურება პოვა ბურჟუაზიულ სოციოლოგებს შორის, მას მრავლად გამოუჩნდა მიმდევრები, რომელთა შორის აღსანიშნავია ინგლისელი ჯონ ხორაბინი. ეს უკანასკნელი თავისი იდეებით მთლიანად მეჩნიკოვის მიმდევარია.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. კლუჩევსკი (1841—1911) მეფის რუსეთის ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით გეოგრაფიული გარემოთი ხსნიდა და ამით სურდა მიეჩქმალა მისი ჩამორჩენილობის ნამდვილი მიზეზები. ამ მხრივ კლუჩევსკი თავის მასწავლებელ სოლოვოვის მიმდევარია.



გეოგრაფიული გარემოს როლის თავისებური განსახილველ მოგვცა გ. პლენანოვი (1856—1918), რომელმაც გეოგრაფიული სკოლის სოციოლოგთა გავლენა განიცადა. მისი „წიგნი“ „გეოგრაფიული გარემოს გავლენა ყველაზე ძეტად და ძლიერად საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათზე მოჩანს“<sup>1</sup>. პლენანოვი, როგორც მარქსისტი, აღიარებდა, რომ ადამიანი აქტიურ გავლენას ახდენს გარემომცველ ბუნებაზე და რომ ბუნების ძალებზე ადამიანის ბატონობის ძალა და ხარისხი განისაზღვრება არა გეოგრაფიული გარემოთი, არამედ საწარმოო ძალთა განვითარების დონით; მაგრამ როდესაც საკითხი ეხებოდა საწარმოო ძალთა განვითარების მიზეზთა განმარტებას, მაშინ პლენანოვი ამ მიზეზად გეოგრაფიულ გარემოს აღიარებდა. „საწარმოო ძალთა განვითარება თვით განისაზღვრება ხალხის გარემომცველ გეოგრაფიულ გარემოს თავისებებით“<sup>2</sup>. სტატიათა კრებულში „ჩვენი კრიტიკოსების კრიტიკა“ იგი კვლავ ამტკიცებს, რომ „ხალხის განკარგულებაში არსებულ საწარმოო ძალთა მდგომარეობა პირველ რიგში გეოგრაფიული გარემოს თავისებებითაა გამოწვეული“<sup>3</sup>. ამრიგად, საზოგადოების განვითარების მიზეზებს პლენანოვი ეძებს საზოგადოების გარეშე და საბოლოოდ გეოგრაფიულ გარემოზე ჩერდება.

პლენანოვი ვერ მოგვცა საზოგადოების განვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს როლის მარქსისტულ-ლენინური ახსნა და საბოლოოდ ბურჟუაზიულ სოციოლოგთა ერთ-ერთი სკოლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. მისი თეორიული და პოლიტიკური შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან სცადა მეჩინიკოვის აზრი მარქსისა და ენგელსის დებულებებთან დაეახლოვებინა.

ისტორიულ მატერიალიზმსა და ვულგარულ გეოგრაფიულ მატერიალიზმს შორის არაფერია საერთო. კიდევ მეტიც: გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში არის რეაქციული,

<sup>1</sup> გ. პლენანოვი. თხზ. ტ. 7, გვ. 286 (რუს. გამ.), 1923.

<sup>2</sup> იქვე, ტ. 7, გვ. 244.

<sup>3</sup> იქვე, ტ. 11, გვ. 312.

ბურჟუაზიული სოციოლოგიური მოძღვრების ერთ-ერთი ხა-  
ირსახეობა და მარქსიზმის სრულიად საწინააღმდეგო მიმდ-  
ნარეობა.

## გეოგრაფიული გარემოს გავლენა საზოგადოების განვითარებაზე

მარქსიზმ-ლენინიზმმა, პირველმა ისტორიაში, ამომწურავი პასუხი მოგვცა გეოგრაფიული გარემოს გავლენის შესახებ საზოგადოების განვითარებაზე და დაამტკიცა, რომ უკანას-  
კნელის განვითარება მიმდინარეობს არა გარემომცველი ბუ-  
ნებისაგან მოწყვეტით, არამედ მასთან ერთად, მასთან ურთი-  
ერთდამოკიდებულებაში. წინააღმდეგ ბურჟუაზიული სოცი-  
ოლოგიებისა, ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოების გან-  
ვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს გავლენას განიხილავს  
არა როგორც გადამწყვეტ ფაქტორს, არამედ ისეთ პროცესს,  
სადაც მისი გავლენის ფორმები წარმოებულია საწარმოო  
ძალთა განვითარების დონისაგან.

გეოგრაფიული გარემოს როლი შესანიშნავად განსაზღვრა  
ამხანაგმა სტალინმა.

„გეოგრაფიული გარემო, — წერს ამხანაგი სტალინი, — უდა-  
ვოა, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივ და აუ-  
ცილებელ პირობას წარმოადგენს და იგი, რა თქმა უნდა, გავ-  
ლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, — იგი აჩქარებს  
ან ანელებს საზოგადოების განვითარების მსვლელობას“<sup>1</sup>.

სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების გან-  
ვითარება, ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობათა თა-  
ვისებურება თავის მნიშვნელოვან ნაწილში გარკვეული გეო-  
გრაფიული გარემოს თვისებებითაა გამოწვეული. მაგალითად,  
კლიმატი და გეოგრაფიული განედი დიდ გავლენას ახდენს  
სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის არსებობა-გან-  
ვითარებაზე. ტუნდრაში, თავისი ბუნებრივი პირობების გამო,  
წამყვანი დარგია მეთევზეობა (ჩრდილო ყინულოვანი და წყნა-  
რი ოკეანის სანაპიროებზე), მეირმეობა და არა ჩაის კულტუ-

<sup>1</sup> საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, თბ., 1950, გვ. 145.

რა ან შევენახეობა. ტაიგაში განვითარებულია ბუნების  
სარეწი, ხე-ტყის დამუშავება და სხვ. მაგრამ ადამიანი უფრო  
ძველ გავლენას ახდენს გარემოზე და დღეს თითქმის აღარ არ-  
სებობს ის „ძველი ბუნება“, რომელიც ორი ან სამი ათასი  
წლის წინათ იყო.

ადამიანმა მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვა ბუნე-  
ბაზე ბატონობა, თუმცა თავისი არსებობის გარიჟრაჟზე იგი  
თვით ბუნების გავლენის ქვეშ იყო. „პირველყოფილი ადამი-  
ანი რომ თითქმის ყოველივე აუცილებელს თავისუფალ ძღვნად  
იღებდა ბუნებისაგან, — წერს ვ. ლენინი, — სულელური ზღა-  
პარია... არავითარი ოქროს საუკუნე ჩვენამდე არ ყოფილა,  
და პირველყოფილი ადამიანი სრულიად დაბეჩავებული იყო  
არსებობის სიძნელით, ბუნებასთან ბრძოლის სიძნელით“<sup>1</sup>.

ავიღოთ სოფლის მეურნეობა, რომელიც განლაგებულია  
გეოგრაფიული გარემოს პირობათა გათვალისწინებით. ეს  
განსაკუთრებით კარგად ჩანს სსრ კავშირში, სადაც სოფლის  
მეურნეობის კულტურათა განლაგება შესაფერისი ბუნებრივი  
პირობების შესაბამისადაა დაგეგმილი, მაგრამ გეოგრაფიული  
გარემო მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების განვი-  
თარების განმსაზღვრელ ფაქტორად.

გეოგრაფიული გარემოს გავლენა განმსაზღვრელი როდია,  
„ვინაიდან საზოგადოების ცვლილებანი და განვითარება გა-  
ცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე გეოგრაფიული გა-  
რემოს ცვლილებანი და განვითარება. სამი ათასი წლის მან-  
ძილზე ევროპაში უკვე შეიცვალა სამი სხვადასხვა საზოგა-  
დობრივი წყობილება: პირველყოფილ-თემური წყობილება,  
მონათმფლობელური წყობილება, ფეოდალური წყობილება,  
ხოლო ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, სსრ კავშირში ოთხი  
საზოგადობრივი წყობილებაც კი შეიცვალა, ხოლო ამავე პე-  
რიოდში გეოგრაფიული პირობები ევროპაში ან სრულებით  
არ შეცვლილა, ან იმდენად უმნიშვნელოდ შეიცვალა, რომ  
გეოგრაფია არც კი ლაპარაკობს ამაზე. ეს გასაგებიც არის.  
გეოგრაფიული გარემოს რამდენადმე სერიოზული ცვლილე-

<sup>1</sup> ვ. ლენინი. თხ. ტ. 5, გვ. 128.

ბებისათვის საჭიროა მილიონობით წლები, მაშინ როდესაც ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების უაღრესად სწრაფი უსული ცვლილებებისათვისაც კი საკმარისია რამდენიმე ასეული ან ორიოდ ათასი წელი“<sup>1</sup>. ამრიგად, გეოგრაფიული გარემო არ შეიძლება იყოს საზოგადოების ფიზიონომიისა და განვითარების განმსაზღვრელი მიზეზი.

საზოგადოების ფიზიონომიის, წყობილების ხასიათისა და ერთი წყობილებიდან მეორისაკენ მისი განვითარების მთავარ ძალად ისტორიული მატერიალიზმი სთვლის „საარსებო საშუალებების მოპოვების წესს, მატერიალური დოვლათის—საზრდოს, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საცხოვრებელი ბინის, სათბობის, წარმოების იარაღების და სხვ. წარმოების წესს, რომლებიც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებას ცხოვრება და განვითარება შეეძლოს“<sup>2</sup>, ე. ი. საწარმოო ძალები ბუნების საჩუქარი კი არაა, არამედ საზოგადოების განვითარების შედეგია და ბუნებაზე ადამიანის ბატონობის საზომია, ხოლო გეოგრაფიული გარემოს გავლენა ცვალებადია და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მისი გავლენის ხარისხი სხვადასხვაა. ასე მაგ., ადამიანის მიერ ცეცხლის გამოგონებამ მთელი რევოლუცია მოახდინა კაცობრიობის ცხოვრებაში და გამოიწვია ადამიანის მიერ დედამიწის ისეთი ახალი რაიონების ათვისება-დასახლება, სადაც ცეცხლის გარეშე შეუძლებელი იყო ადამიანის არსებობა.

გეოგრაფიული გარემოს გავლენა მიწათმოქმედებაზე უფრო შესამჩნევია, ვიდრე ადამიანის მატერიალური მოქმედების სხვა სახეებზე, მაგრამ გეოგრაფიული გარემო აქაც არ წარმოადგენს განვითარების განმსაზღვრელ მიზეზს. ეს მტკიცდება მიწათმოქმედების ისტორიითა და თანამედროვე განვითარებით. დედამიწის ზედაპირის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები წინათაც იყო ხელშემწყობი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურის განვითარებისათვის, მაგ-

<sup>1</sup> საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, თბ. 1950, გვ., 145—146.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 147.



რამ რიგი კულტურების გაშენება იწყება შედარებით გვიან  
სიწათმოქმედებისათვის ხელშეწყობი ნიადაგობრივი პირო-  
ბები თავისთავად როდი ქმნის მიწათმოქმედებას, არამედ ეს  
უკანასკნელი აღმოცენდება მხოლოდ საწარმოო ძალთა გან-  
ვითარების განსაზღვრულ საფეხურზე.

გეოგრაფიული გარემო გარკვეულ გავლენას ახდენს  
ძრეწველობის განლაგებაზეც, მაგრამ ეს გავლენა არ შეიქ-  
ლება ავხსნათ არც ძრეწველობის ახალი დარგების აღმოცე-  
ნებით, არც მათი შემდგომი განვითარებით. როგორც ცნობი-  
ლია, ბუნებაში არსებობს სიმდიდრენი, რომელსაც იყენებს  
თანამედროვე ძრეწველობა, როგორც ნედლეულს ან ენერ-  
გორესურსს. მრავალი ძათგანი დიდი ხნის განძავლობაში გა-  
მოუყენებელი იყო და მხოლოდ საწარმოო ძალთა განვითარე-  
ბის შესაფერის დონეზე გახდა შესაძლებელი ამა თუ იმ ბუ-  
ნებრივი საწარმოო რესურსის გამოყენება. მაგალითად, ვახა  
შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რომელიმე გეოგრაფიული ადგილ-  
მდებარეობის ქვანახშირის საბადოები მნიშვნელოვან გავლე-  
ნას ახდენს საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზე მაშინ,  
როდესაც არ არსებობდა მისი მასიური გამოყენება? ცხადია,  
არა. ქვანახშირი, ისევე როგორც ყოველგვარი წიაღისეული  
სიმდიდრე, მიუხედავად მისი ხარისხისა, მარაგისა და ხელსაყ-  
რელი მდებარეობისა, გამოუყენებელი იყო საზოგადოების გან-  
ვითარების გარკვეულ ეპოქებში. მაშასადამე, მას არავითარი  
მნიშვნელობა არ ჰქონდა საზოგადოების განვითარებისათვის,  
საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

ფ. ენგელსი სამართლიანად შენიშნავს, რომ ინგლისის ქვა-  
ნახშირის უმდიდრესმა საბადოებმა დიდი მნიშვნელობა მოი-  
პოვა მხოლოდ ორთქლის მანქანის გამოგონების შედეგად.  
ამასთანავე, გაძლიერდა ინტერესი რკინის მადნის საბადოე-  
ბისადმი; რომ მატყლზე მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია  
მეცხვარეობის შემდგომი ზრდა-განვითარება ინგლისში,  
ხოლო მატყლის, სელისა და აბრეშუმის შემოტანის გაძლი-  
ერებამ გამოიწვია ინგლისის სავაჭრო ფლოტის ზრდა. რო-  
გორც ამ მაგალითიდან ჩანს, გეოგრაფიულმა გარემომ ხელი  
შეუწყო, დააჩქარა ინგლისის შემდგომი განვითარება.

რევოლუციამდელი რუსეთის მრეწველობის განვითარებაზე გეოგრაფიულ გარემოს აგრეთვე არ ჰქონდა განმსაზღვრელი მნიშვნელობა. მიუხედავად აურაცხელი ბუნებრივი საწარმოო სიმდიდრისა, მეფის რუსეთი ჩამორჩენილი, აგრეთვე ქვეყანა იყო. ეკონომიურად განსაკუთრებით ჩამორჩებოდა რუსეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა მხარეები. ამ უკანასკნელთ გააჩნდათ დიდი რაოდენობის ნავთობი, ქვანახშირი, რკინის მადანი, მდინარეთა ენერჯია, მდიდარი ნედლეული—ბამბეულის, შაქრისა და მრეწველობის სხვა დარგებისათვის. მიუხედავად ამისა, მათი სამრეწველო გამოყენება თითქმის არ წარმოებდა. ამასთანავე, საწარმოო ძალთა განვითარება წარმოებდა ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, რომლებიც გეოგრაფიულად დაშორებული იყო ნედლეულისა და ენერჯეტიკულ წყაროებს. მაგალითად, ივანოვოსა და მოსკოვის რაიონების საფეიქრო მრეწველობა მუშაობდა დონბასის ქვანახშირითა და შემოტანილი ბამბით. პეტროგრადის მანქანათმშენებელი მრეწველობა—სამხრეთის რკინის მადნითა და უცხოეთის ქვანახშირით (ინგლისი, გერმანია) და სხვ.

მეტალურგიული მრეწველობის ჩასახვა-განვითარება რუსეთში პეტრე პირველმა დაიწყო, მაგრამ მეტალურგიული ცენტრების გეოგრაფიული გადმონაცვლება ურალიდან სამხრეთში—დონბასში—გამოწვეული იყო არა გეოგრაფიული პირობებით, არამედ სოციალურ-ეკონომიური მიზეზებით.

ორთქლის მანქანისა და ორთქლმავლის, გემისა და ავტომობილის, ყინულისმჭრელი გემისა და თვითმფრინავის გამოგონებით შესაძლებელი შეიქმნა მდინარეების, ზღვებისა და ხმელეთის შორეული ტერიტორიების ერთმანეთთან დაკავშირება. ამასთან, ელექტრობის გამოგონებამ და ელექტროენერჯიის შორ მანძილზე გადაცემამ შესაძლებელი გახადა მრეწველობის განვითარება ისეთ ადგილებში, სადაც არ არსებობდა ადგილობრივი ენერგორესურსები. ეს არის ადამიანის გამარჯვება ბუნებაზე.

გეოგრაფიული გარემო ხელს უწყობს აგრეთვე მიმოსვლის პროგრესს. იგი სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს ტრანსპორ-

ტის განვითარებაზე; ეს უშთავრესად დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე. თანამედროვე საზოგადოებაში, სარკინიგზო და საავტომობილო გზების განვითარებამ ადამიანი გაათავისუფლა იმ სიძნელეებისაგან, რომელსაც გეოგრაფიული გარემო ქმნიდა სივრცის გადალახვაში.

სწორი არ იქნებოდა გვეფეჟრა, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს კავშირ-ურთიერთობის გამარტივება და შემცირება საზოგადოებასა და გარემომცველ ბუნებას შორის. პირიქით, თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე საზოგადოება კიდევ უფრო აფართოებს, ავითარებს, მრავალფეროვანს ხდის გარემოსთან ურთიერთობას. საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საწყის საფეხურზე გეოგრაფიული გარემოს გავლენა ერთფეროვანი იყო, ხოლო მასზე საზოგადოების შემოქმედება და ურთიერთობა — უფრო ვიწრო და პრიმიტიული.

ეს აიხსნება საწარმოო ძალთა ძალზე დაბალი განვითარებითა და შრომის დაბალი ნაყოფიერებით; საზოგადოების მატერიალური ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე კი ადამიანი გეოგრაფიულ პირობებს უფრო სრულად და მრავალნაირად იყენებს.

ისტორია იცნობს ხუთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას, წარმოებით ურთიერთობათა ხუთ ძირითად ტიპს: პირველყოფილ-თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს, სოციალისტურს. წარმოებით ურთიერთობათა თითოეული ტიპისათვის დამახასიათებელია თავისი ტემპი საწარმოო ძალთა განვითარებისა, მაშასადამე, გარემომცველ ბუნებაზე ადამიანის ბატონობის ხეგვლების ტემპიც. არა გეოგრაფიული გარემო, არამედ წარმოების წესის თავისებურება განსაზღვრავს ბუნებაზე ადამიანის ბატონობის ხარისხის ცვალებადობასა და საზოგადოებაზე გეოგრაფიული გარემოს გავლენის ხარისხს. ამხანაგმა სტალინმა საწარმოო ძალთა განვითარების კანონზომიერება ძველი დროიდან ჩვენს ეპოქამდე შემდეგნაირად გამოხატა:

ქვის უხეში იარაღი—მონადირული ცხოვრება, მშვილდისა—რი—ცხოველთა მოშინაურება და პირველყოფილი მეჭოგეო-

ბა; ლითონის იარაღები (რკინის ნაჯახი, რკინის სახინკისიანი კავი და სხვ.)—მცენარეთა მოყვანა და მიწათმოქმედებაზე გადასვლა; ლითონის იარაღის შემდგომი გაუმჯობესება (სამქედლო საბერველი, თიხის ჭურჭლის წარმოება)—ხელოსნობის განვითარება და მისი გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან, დამოუკიდებელი ხელოსნური და შემდეგ მანუფაქტურული წარმოების განვითარება; წარმოების ხელოსნური იარაღებიდან მანქანაზე გადასვლა და ხელოსნურ-მანუფაქტურული წარმოების გადაქცევა სამანქანო მრეწველობად; მანქანათა სისტემაზე გადასვლა და თანამედროვე მსხვილი მანქანიზირებული მრეწველობის შექმნა.

წარმოების იარაღების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა ადამიანი, მისი საწარმოო გამოცდილება, მისი უნარი წარმოების იარაღების გამოყენებისა. კ. მარქსი სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ეკონომიური ეპოქები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა იმით, თუ რა იწარმოება, არამედ იმით, თუ როგორ იწარმოება“<sup>1</sup>... მაშასადამე, ისტორიის მანძილზე საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი, მათი ეკონომიური ურთიერთობანი, ხოლო გეოგრაფიული გარემოს გავლენა თანდათან მცირდებოდა.

ამრიგად, საზოგადოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ განხილვას გეოგრაფიული გარემოს გავლენის გარკვეულ კანონზომიერებაზე მივყავართ; სახელდობრ: გეოგრაფიული გარემოს გავლენის ხარისხი დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე, საარსებო საშუალებების მოპოვების წესზე. რაც უფრო მაღალია საწარმოო ძალთა განვითარების დონე და სრულყოფილია წარმოების წესები, მით უფრო ნაკლებია გეოგრაფიული გარემოს გავლენა. ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებასთან ერთად გეოგრაფიული გარემოს მოხსნა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებიდან? ცხადია, არა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი თანდათან იმორჩილებს ბუნებას და მისგან დამოუკიდებელი ხდება, მას მაინც არ

<sup>1</sup> კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 191, 1935.

შეუძლია თავი დააღწიოს ბუნებას, გარემოს, რადგანაც „ბუნების ძალთა შეცვლა ადამიანის შრომით, საერთოდ რომ ვთქვათ, ისევე შეუძლებელია, როგორც არშინისა შეცვლა ფუთით“<sup>1</sup>. ამრიგად, გეოგრაფიული გარემო აუცილებელი პირობაა ადამიანის არსებობისათვის, ესაა სუბსტრატი, სადაც ხდება ურთიერთობა ადამიანსა და ბუნებას შორის, ე. ი. როგორც არ უნდა შემცირდეს გეოგრაფიული გარემოს გავლენა ადამიანზე, იგი არასოდეს არ მიაღწევს ნულს, რადგანაც საზოგადოების არსებობა-ვანვითარება წარმოუდგენელია ბუნების გარეშე, გარემოს გარეშე, საიდანაც იგი ლებულობს ყველაფერ იმას, რაც აუცილებელია მისი არსებობისათვის.

### საზოგადოების გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე

ადამიანი უხსოვარი დროიდან იმორჩილებს და შეგნებულად ცვლის გეოგრაფიულ გარემოს. ბუნების გარდაქმნის ამ პროცესში თანამედროვე ეტაპზე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მსოფლიოში თითქმის აღარ დარჩა კუთხე, რომელიც ადამიანის ზემოქმედების ქვეშ არ იყოს და გარკვეულ ცვლილებას არ განიცდიდეს. ადამიანი—ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, ახალი ფაქტორი ბუნების გარდაქმნის-დარგში, ახალი, არა თავისი არსებობით, არამედ ბუნებასთან ურთიერთობისა და ზემოქმედების ახალი ხარისხობრივი ფორმებით.

ადამიანის როლი ბუნებაში შესანიშნავად განსაზღვრა ფ. ენგელსმა. იგი „ბუნების დიალექტიკაში“ წერს: ადამიანმა არა მარტო გადააჯგუფა მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვა სახეობანი, არამედ შეცვალა მათი გარეგნული სახე და თავისი საცხოვრებელი ადგილის კლიმატიც, შეცვალა თვით მცენარეები და ცხოველები, ისეთი ხარისხით, რომ მისი მოქმედების შედეგები შეიძლება მოიხპოს მთელი დედამიწის განადგურებასთან ერთად.

გეოგრაფიული გარემოს პირველადი ცვლილება იყო ტყის გაჩენვა, რაც კლიმატისა და ნიადაგის შეცვლას, აგრეთვე წყლის რეჟიმის დარღვევას იწვევდა; ძველად მდინარეს არ

<sup>1</sup> ვ. ლენინი. თხზ. ტ. V, გვ. 128.

იყენებდნენ ჰიდროენერგორესურსების მისაღებად და თუ ჩანჩქერი ნაოსნობისათვის დაბრკოლებას წარმოადგენდა და გამოუყენებელი რჩებოდა, დღეს მას ელექტროსადგურების ასაშენებლად იყენებენ. მაშასადამე, „ადამიანებმა ისწავლეს ბუნების ნგრევეთი ძალების დამორჩილება, მათი, ასე ვთქვათ, მოთოკვა, წყლის ძალის წარმართვა საზოგადოების სასარგებლოდ და მისი გამოყენება მინდვრების მოსარწყავად, ენერჯის მისაღებად“<sup>1</sup>. ქვანახშირისა და ნავთობის გამოყენება თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იწყება, თუ არაფერს ვიტყვით სხვა, უფრო მნიშვნელოვან მადნეულზე. ამრიგად, ერთისა და იმავე გეოგრაფიული გარემოს როლი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვაა.

საწარმოო ძალთა განვითარების მაღალ საფეხურზე ადამიანი სახეს უცვლის გარემოს: ჭაობების ამოშრობით, არხების გაყვანით, ახალი მიწების სახნავ-სათესად ათვისებით, ახალი კულტურების გამოყვანით და სხვ. მაგალითად, პანამის არხმა უმოკლესი საზღვაო გზით დააკავშირა ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროები, ხოლო ევროპა—ჩინეთსა და იაპონიასთან. სუეცის არხი ევროპიდან ინდოეთისა და ავსტრალიისაკენ, ძველ, აფრიკის გარშემო არსებულ საზღვაო გზასთან შედარებით, მანძილს სამჯერ ამცირებს.

სამუშალო საუკუნეებში, ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკის ოკეანეში სავაჭრო გზების გადანაცვლების შემდეგ, ინგლისი თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო ევროპიდან ამერიკაში მიმავალ მნიშვნელოვან გზებზე აღმოჩნდა და მალე პირველხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცა. ამავე დროს, კუნძულოვანი მდებარეობის გამო მოწინააღმდეგისათვის მიუვალ იყო. ტექნიკის განვითარების გამო (ავიაციის, შორსმსროლელი არტილერიის) მისი ხელსაყრელი მდებარეობის უპირატესობა მინიმუმამდე შემცირდა, ე. ი. ინგლისის გეოგრაფიუ-

<sup>1</sup> ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრკ-ში. თბ., 1952, გვ. 5.


ლი მდებარეობა იგივე დარჩა, თუმცა საწარმოო ძალთა მა-  
ლალმა განვითარებამ, მის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდგომარეობას ნაწილობრივ მნიშვნელობა დაუკარგა.

ავსტრალიის კოლონიზაციამდე სამხრეთის ეს მატერიკი ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ავსტრალია მეცხვარეობის ტიპიურ ქვეყნად გადაიქცა. ასევე, ჩამორჩენილი კალიფორნია და ფლორიდას ნახევარკუნძული ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციების მხარედ გადაიქცნენ. ამრიგად, გეოგრაფიული გარემო უცვლელი ფაქტორი როდია, არამედ იგი შედეგია ადამიანის ყოველმხრივი და მუდმივი ზემოქმედებისა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში გახრწნის გზაზე მდგარმა კაპიტალიზმმა კიდევ უფრო გააძლიერა ტექნიკის პროგრესი. სოფლის მეურნეობაში ნიადაგის მტაცებლური და არასწორი ექსპლოატაციის გამო მკვეთრად იჩინა თავი ნიადაგის გამოფიტვის პროცესმა. ბურჟუაზიის ეკონომისტებმა და სოციოლოგებმა იწყეს „თეორიული დასაბუთება“ იმისა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესს თითქოს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამ მზარდ პროცესთან. ყველაზე მეტად გამოსადეგი აღმოჩნდა ე. წ. „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“. ეყრდნობოდნენ რა მალთუსის „თეორიებს“, ბურჟუაზიული ეკონომისტები დავიდი, ბრენტანო, რუსეთში კი განსაკუთრებით ბულოგაკოვი, ცდილობდნენ კაპიტალისტური მიწათმოქმედების ჩამორჩენა (მრეწველობასთან შედარებით) „ბუნებრივი მიზეზებით“ აეხსნათ და დაეკანონებინათ მისი უპერსპექტივობა.

ბულგაკოვის „მტკიცებით“, ჭარბდასახლებულობა ნიადაგის გამოფიტვას იწვევდა, რასაც თითქოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლის თანდათანობითი შემცირება მოსდევდა. ამით მას სურდა გაემართლებინა წვრილ მეურნეთა დაქუცმაცება და გაღატაკება. ამ „კანონს“ საბოლოოდ გეოგრაფიული გარემოს გადამწყვეტი როლის აღიარებამდე მივყავართ.

აკრიტიკებდა რა ბულგაკოვს, ამხანაგი ლენინი მიუთითებდა, რომ არ არსებობს სავესებით უვარგისი მიწები. „ნიადაგის



კლებადი ნაყოფიერების კანონს“ ლენინი უწოდებდა ანტი-მეცნიერულ თეორიას, „რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოგონილი, მარადიული კანონებით ფარავს“<sup>1</sup>. მართლაც, ლენინის თქმით, ეს „კანონი“ წარმოადგენს სავსებით უშინაარსო აბსტრაქციას, რომელიც უყურადღებოდ ტოვებს იმას, რაც ყველაზე მთავარია: ტექნიკის დონეს, საწარმოო მიწარმოებელი ძალების მდგომარეობას“<sup>2</sup>.

ლენინი, ისევე როგორც მარქსიზმის სხვა კლასიკოსები, არ უარყოფდა გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში საერთოდ და გარემოს გარდამავალ გავლენას მიწათმოქმედებაზე.

საკმაოდ ცნობილია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გამოთქმები მიწის ნაყოფიერების შესახებ: „მიწა, თუ მისი მართებულად დამუშავება წარმოებს, მუდამ უმჯობესდება“ (კ. მარქსი), ან „მიწის ნაყოფიერებამ შეიძლება უსასრულოდ იმატოს“ (ფ. ენგელსი). ვ. ლენინი, იყრდნობოდა რა ფაქტებს კაპიტალისტური სამყაროს მიწათმოქმედებიდან, წინასწარმეტყველებდა სოციალისტური მიწათმოქმედების წინსვლა-განვითარებას. „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი, — წერდა ლენინი, — სრულიად გამოუყენებელია ისეთი შემთხვევებისათვის, როცა ტექნიკა პროგრესს განიცდის; როცა წარმოების წესები გარდაქმნის პროცესშია; მისი გამოყენება მხოლოდ შედარებითი და პირობითია იმ შემთხვევების მიმართ, როცა ტექნიკა უცვლელი რჩება“<sup>3</sup>.

ამრიგად, კაპიტალიზმის პირობებში „კლებადი ნაყოფიერების“ ფაქტი არის არა ბუნების კანონი, არამედ კაპიტალისტური მიწათმოქმედების მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგი.

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობა აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, ანტიმეცნიერული „მარადიული“ კანონები „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების“ შესახებ, უარყოფილია.

<sup>1</sup> ვ. ლენინი. თხზ., ტ. V, გვ. 125.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 127.



თანამედროვე მეცნიერება, ტექნიკა და მრეწველობა ყველა შესაძლებლობას ქმნიან გეოგრაფიული გარემოს შემდგომი დამორჩილება-გარდაქმნისათვის, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამას ხელს უშლის ცალკეულ სახელმწიფოთა ურთიერთ წინააღმდეგობანი და გარდაუვალი ბრძოლა ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. მაგალითად, ცნობილია, რომ მეოვის რუსეთი ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო მთელ მსოფლიოში, თუმცა რუსეთს უმდიდრესი ბუნებრივი საწარმოო რესურსები გააჩნდა, მაგრამ თავისი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, იგი ფაქტიურად ევროპის მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების აგრარული დანამატი იყო.

დიდმა რუსმა მწერალმა ნ. ნეკრასოვმა შესანიშნავად გადმოგვცა რუსეთის სიდიადე და სიმძლავრე, ერთი მხრივ, მისი ჩამორჩენილობა და დაკნინება, მეორე მხრივ.

**„Ты и убогая, ты и обильная,  
Ты и могучая, ты и бессильная  
Матушка — Русь“.**

საბჭოთა კავშირი სტალინური ხუთწლეულების პერიოდში ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან პირველხარისხოვან ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად იქცა. მაქსიმალურად ხდება ქვეყნის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერი ათვისება და გამოყენება.

სსრკ კავშირის საწარმოო ძალთა სწრაფ განვითარებას მარტო (ან უმთავრესად) ხელშემწყობი და მდიდარი ბუნებრივი პირობებითა და რესურსებით ვერ ავსხნით. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. ძველ რუსეთში იგივე ბუნებრივი პირობები იყო როგორც ახლა, ძველი რუსეთი დაჯილდოებული იყო ბუნებრივი სიმდიდრეებით, მაგრამ ამ უკანასკნელთა შესახებ ძალზე ცოტა იცოდნენ. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გახდა შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის აურაცხელი ბუნებრივი საწარმოო რესურსების გეგმაზომიერი შესწავლა და მათი რაციონალური გამოყენება სოციალისტური მეურნეობისათვის.


რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრეები ქმნიდნენ ყოველ შესაძლებლობას მძლავრი ეკონომიური განვითარებისათვის, მაგრამ ეს შესაძლებლობა მეფის რუსეთის პირობებში ძირითადად გამოუყენებელი იყო.

ავილოთ, მაგალითად, კაპიტალისტური სამყარო, სადაც დღემდე განუხორციელებელია რიგი მნიშვნელოვანი პროექტებისა, რომლებიც ძირფესვიანად შეცვლიდნენ გეოგრაფიულ გარემოსა და დააჩქარებდნენ საზოგადოების განვითარებას.

მნიშვნელოვან პროექტთა რიცხვს მიეკუთვნება ლა-მანშის სრუტის ქვეშ გვირაბის გაყვანა, რომელიც ინგლისს პირდაპირი და სახმელეთო გზით საფრანგეთსა და კონტინენტურ ევროპასთან დააკავშირებდა. ამ გვირაბის შესახებ მოლაპარაკება წარმოებდა ჯერ კიდევ 1802 წელს ნაპოლეონსა და ინგლისის წარმომადგენელ ჩარლზ ჯემს ფოკს შორის. მას შემდეგ თითქმის ერთნახევარი საუკუნე გავიდა და პროექტი მხოლოდ პროექტად დარჩა. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობებმა ევროპაში და ამ უკანასკნელის დროებითმა დაპყრობამ გერმანიის მიერ ხელი შეუშალა პროექტის ხელშეწყობას და განხილვასა და განხორციელებას.

ლა-მანშის გვირაბის გაყვანის წინააღმდეგ პირველ რიგში თვით ინგლისელები ილაშქრებდნენ. ასე მაგ., 1889 წელს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე ლორდ ბალფურმა ლა-მანშის გვირაბის შესახებ შემდეგი განაცხადა: „ვიდრე ოკეანე წარმოადგენს ჩვენს მეგობარს, რატომ უნდა მოვსპოთ წინასწარ განზრახვით მისი თავდაცვითი მნიშვნელობა“. მართალია, თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით ავიაციის განვითარების შედეგად, ლა-მანშის სრუტემ, როგორც ბუნებრივმა ზღუდემ, საკმაოდ დაკარგა თავისი თავდაცვითი მნიშვნელობა, მაგრამ გვირაბის გაყვანაზე მაინც არავინ ფიქრობს.

გვირაბის გაყვანის წინააღმდეგი იყვნენ და არიან აგრეთვე ინგლისის კერძო გემთმფლობელები, რომელთაც ემინოდათ იმისა, რომ გვირაბის გაყვანა და ინგლის-ევროპას შორის სახმელეთო ურთიერთობის დამყარება შეამცირებს მათ შემოსავალს.



მეტად საინტერესოა გერმან ზერგელის პროექტი ხმელთაშუა ზღვის დაკეტვის შესახებ. პროექტის თანახმად, ჯებიორების საშუალებით ჩაიკეტება გიბრალტარ-დარდანელის სრუტეები და ხმელთაშუა ზღვაში ჩამავალი დიდი მდინარეების შესართავები, რაც მნიშვნელოვნად შეცვლიდა ბუნებრივ გარემოს და ამ უკანასკნელს ადამიანის სამსახურში ჩააყენებდა. ზერგელის გამოანგარიშებით, ხმელთაშუა ზღვიდან აორთქლება გაძლიერდება და მისი დონე ყოველწლიურად 1,65 მეტრით დაიკლებს. დონის ორასი მეტრით დაწვევა ხმელთაშუა ზღვის ფართობს მნიშვნელოვნად შეამცირებს და მიღებული იქნება დამატებით დაახლოებით 660 ათასი კვადრატული კილომეტრი მაღალმოსავლიანი მიწის ფართობი, რაც უდრის საფრანგეთ-ბელგია-პოლანდიის ფართობს ერთად აღებული. ამოწრება ადრიატიკის ზღვა, სიცილია შეუერთდება იტალიას, ხოლო სარდინია კორსიკას. ამავე დროს, ზღვაში ჩამავალი დიდი მდინარეების შესართავებთან (ნილოსი, რონა, პო, და სხვ.) დიდი ვარდნის გამო შესაძლებელი გახდება გრანდიოზული ჰიდროელსადგურების აშენება, რომელთა ენერგია (120 მილ. კილოვატი) სავსებით დააკმაყოფილებს ევროპის, აზიისა და აფრიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას.

აფრიკაში რიგი ტერიტორიები ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს (მაგ. ჩადის ტბა და კვატარას დაბლობი ცენტრალურ აფრიკაში), არხების გაყვანით შესაძლებელია ხმელთაშუა ზღვის წყლის გადაშვება ჩადის ტბის მიდამოებში და მივიღებთ ახალ, უზარმაზარ ზღვას. წყლის ახალი აუზი უკაცრიელ და გამოუყენებელ უდაბნოს აყვავებულ მხარედ გადააქცევს, შეცვლის მის კლიმატს, ნიადაგს, ფლორასა და ფაუნას, სამეურნეო მიზნებისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობას.

დასასრულ კიდევ ერთი მეტად საინტერესო პროექტი, რომელიც ისევ ცენტრალურ აფრიკას ეხება. რადგან ჩადის ტბის მიდამოებში ხმელთაშუა ზღვის წყლის გადაშვება მეტად ძნელია და უდიდეს თანხებს მოითხოვს, ამიტომ შედგენილი იქნა მეორე, უფრო რეალური პროექტი, რომელიც გარდაქ-

მნის საპარის უდაბნოს უმნიშვნელოვანეს ნაწილსა და მდინარე კონგოს აუზის ტერიტორიებს.

როგორც ცნობილია, აფრიკის ჩრდილო და ცენტრალური ნაწილი უკავია მსოფლიოში უდიდეს საპარის უდაბნოს. მისი ფართობი 9 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტია და ევროპის ფართობს აღემატება. მაგრამ უწყლობის გამო უდაბნო თითქმის დაუსახლებელია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ უზარმაზარ ფართობზე დაახლოებით მხოლოდ რვაასი ათასი მცხოვრებია.

საჭიროა წყალი და ამ უკანასკნელის მიღება შეიძლება მდინარე კონგოდან. კონგო აფრიკის ყველაზე უხვწყლიანი მდინარეა, ამიტომ, პროექტის თანახმად, შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

ქალაქ ლეობოდვილთან (ბელგიის კონგოს ცენტრი) აიგება კაშხალი და დაგუბდება მდინარე. ამ უკანასკნელის შუა წელში შეიქმნება „კონგოს ზღვა“, ხოლო ამ ზღვიდან წყალი მდინარე უბანგითა და შემდეგ არხით ჩადის ტბის მიდამოებში გადავა, სადაც შეიქმნება მეორე ზღვა — „ჩადის ზღვა“, თავისი ფართობით ორჯერ მეტი, ვიდრე „კონგოს ზღვის“ ფართობი.

ამ პროექტის განხორციელებით შესაძლებელი გახდებოდა თითქმის 600 მილიონი ჰექტარი მიწის მორწყვა, საპარის უდაბნოს დიდი ნაწილი — უკაცრიელი და გამოუყენებელი — აყვავებულ ბაღებად გადაიქცეოდა.

საწარმოო ძალთა დონის განვითარებასთან ერთად ძლიერდებოდა და რთულდებოდა ადამიანის გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე. ადამიანის გავლენის ხარისხის ზრდა გარემოზე დამოკიდებულია არა მარტო ტექნიკის განვითარების დონეზე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ საზოგადოებრივ ძალთა კლასობრივ პოზიციებზე, რომლებიც წარმართავენ ბუნების გარდაქმნას.

წარმოებით ურთიერთობათა ხუთი ძირითადი ფორმაციიდან პირველი სამი — პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების ეპოქებში ბუნების გარ-

დაქმნა თითქმის არ ხდებოდა. ამ დროს მეტად დაბალი იყო საწარმოო ძალთა განვითარების დონე, სუსტი იყო ადამიანის შემოქმედების ხარისხი ბუნებაზე. კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის დროს საწარმოო ძალთა განვითარება თუმცა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ გეოგრაფიული გარემოს ცვლილება ექვემდებარება სტიქიურ კანონებს. კაპიტალიზმის პირობებში გეოგრაფიული გარემოს ცვლილება-გარდაქმნის ხასიათი და ტემპები განისაზღვრება არა საზოგადოების ინტერესებით, არამედ შემოგების სურვილითა და ექსპლოატატორთა კონკურენციით. კაპიტალიზმის პირობებში კერძო მესაკუთრეთა დამოკიდებულება ბუნებისადმი, ბუნებრივი სიმდიდრისადმი, მტაცებლურ ხასიათს ატარებს.

თუ სოციალისტური საზოგადოებისათვის მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები მძლავრი ბერკეტია გარემოს გეგმაზომიერი გარდაქმნა-დამორჩილებისათვის, კაპიტალისტურ სამყაროში წარმოების საშუალებები კერძო კაპიტალისტურია, სტიქიური და უგეგმოა, შეუთავსებელია წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათთან. „ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი აღარ შეესაბამებიან საზოგადოების საწარმოო ძალთა მდგომარეობას და მათთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში ჩავარდნენ“<sup>1</sup>.

მსგავსი სამეურნეო მნიშვნელობის პროექტების განხორციელება კაპიტალისტურ ქვეყნებში შეუძლებელია. მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარების ღირსეულ მემკვიდრეს. ჩვენი სოციალისტური ქვეყანა იყენებს და ცხოვრებაში ატარებს ყველა მიღწევას არა ერთი მუჭა ექსპლოატატორთათვის, არამედ მთელი ხალხის, კაცობრიობის საკეთილდღეოდ, რადგანაც „ჩვენი ქვეყანა ყველაზე მოწინავეა შედარებით ყველა სხვა ქვეყანასთან, სადაც ძველი მოწყობილობა ბორკავს წარმოებას და აფერხებს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს“<sup>2</sup>.


<sup>1</sup> საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. თბ., 1950, გვ. 156.

<sup>2</sup> ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამ., 1951, გვ. 717.

გეოგრაფიული გარემოს ცვლილება-გარდაქმნა და მისი შემდგომი დამორჩილება სოციალისტური წყობილების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. იცვლება არა მარტო ძველი სამრეწველო ცენტრების ხედი, არამედ წინათ ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი განაპირა მხარეთა მეურნეობა და მისი მიმართულება. ავიღოთ ძველი რუსეთის ადმინისტრატიული დაყოფა სამრეწველო და აგრარულ ოლქებად, რაც მეფის რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობის მაჩვენებელი იყო. სტალინური ხუთწლედის მანძილზე, მრეწველობის ლენინურ-სტალინური განლაგების საფუძველზე, შეიცვალა სსრ კავშირის ეკონომიკის სახე. „ჩვენი ოლქების ძველმა დაყოფამ სამრეწველო და აგრარულ ოლქებად, — წერს ამხანაგი სტალინი, — უკვე მოჭამა თავისი დრო. ჩვენ აღარა გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ აგრარული ოლქები, რომლებიც მოამარაგებდნენ სამრეწველო ოლქებს პურით, ხორცითა და ბოსტნეულით, ისევე, როგორც აღარა გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო ოლქები, რომელთაც შეეძლოთ ჰქონოდათ იმედი, რომ ყველა საჭირო პროდუქტს მიიღებენ გარედან, სხვა ოლქებიდან. განვითარებას შედეგად მოსდევს ის, რომ ყველა ოლქი ჩვენში ხდება ცოტად თუ პევრად სამრეწველო, და რაც დრო გავა, მით უფრო გახდებიან ისინი თანდათან სამრეწველო ოლქებად“<sup>1</sup>. ამრიგად, სსრ კავშირის ბუნებრივი პირობები, გარემო დიდი ხნის განმავლობაში არ შეცვლილა, სამაგიეროდ სოციალისტურმა საწარმოო ძალებმა მოახდინეს მისი გარდაქმნა, ცვლილება, ჩატარდა ქვეყნის ახალი ეკონომიური და ადმინისტრატიული დაყოფა და ა. შ.

რევოლუციამდელი ჩრდილოეთი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და მივარდნილი მხარე იყო მეფის რუსეთში. ერთი

<sup>1</sup> ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამ., 1951., გვ. 567.




პოლარული მკვლევარის მიმართვაზე ჩრდილოეთის ათვისების შესახებ ალექსანდრე III-ის აღმზრდელმა, გენერალმა ზენოვიევმა ასეთი პასუხი გასცა: „იქ, ჩრდილოეთში, მუდმივი ყინულების გამო მიწათმოქმედება შეუძლებელია და სხვა საწარმოთა არსებობა კი უაზრობას წარმოადგენს. ჩემი აზრით, ჩრდილოეთიდან აუცილებელია ხალხის გადმოსახლება შიდა გუბერნიებში, თქვენ კი, პირიქით, გასურთ და ლაპარაკობთ რაღაც გოლფსტრიმის შესახებ, რომელიც ჩრდილოეთში არ შეიძლება იყოს. ასეთი იდეების გატარება მხოლოდ გიყებს შეუძლიათ“<sup>1</sup>. ჩვენს ეპოქაში ჩრდილოეთის საზღვაო გზისა და არქტიკის შესწავლის საქმეში უდიდესი სამუშაოები ჩატარდა. გემ „სიბირიაკოვის“ ლაშქრობა, პაპანიელთა და სედოველების გამირული ღრეიფები და სხვა ღონისძიებები იმის მაჩვენებელია, რომ სტალინური ხუთწლიელების მანძილზე ჩრდილო საზღვაო გზა მუდმივმოქმედ მაგისტრალად გადაიქცა.

მურმანსკის ოლქი (კოლის ნახევარკუნძული) და კარელია-ფინეთის რესპუბლიკა, რომელსაც წინათ „დაუფრთხობელი ფრინველების ქვეყანასა“ და „დედაქალაქის მახლობლად მდებარე კატორღას“ უწოდებდნენ, ძირფესვიანად გარდაიქმნა. დღეს კოლის ნახევარკუნძული სამთამადნო მრეწველობის მნიშვნელოვანი რაიონია, სადაც დიდი რაოდენობით წარმოებს ნიკელის, აპატიტ-ნეფელინებისა და რკინის მადნის მოპოვება-დამუშავება. ჩრდილოეთში გაშენდა ახალი, მსხვილი სამრეწველო ცენტრები, რომლებიც თითქმის ცარიელ ადგილზე წარმოიშვნენ მოსახლეობის დიდი რაოდენობით. მათ შორის სოციალისტური ქალაქები კიროვსკი, პოლიარნოე, იგარკა (ხე-ტყის ხერხვა), ვორკუტა (ქვანახშირის მოპოვება), მაგადანი და სხვ.

ბუნების დიადი გარდამქმნელის მიჩურინის, აგრეთვე მისი მიმდევრების—ვილიამსის, ლისენკოსა და სხვათა ცდებმა უკუაგდეს ცნება კულტურულ მცენარეთა გეოგრაფიული სა-

<sup>1</sup> ციტირებულია საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე აშ. პაპანიელის სიტყვის სტენოგრაფიიდან.



ხდვრის დადგენის შესახებ, მათ გააფართოვეს კულტურული მებაღეობის გავრცელების არეალი აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით და მიიღეს ისეთი ახალი სახის ჯიშები და სახეები, რომლებიც ბუნებას არ შეუქმნია. სტალინურ ხუთწლეულებში კულტურულმა მცენარეებმა ჩრდილოეთისაკენ რამდენაეუ გრადუსით გადაინაცვლეს. „სასაქონლო მარცვლეულის ბაზამ უკრაინიდან, რომელიც წინათ ჩვენი ქვეყნის ბელად ითვლებოდა გადაინაცვლა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ“<sup>1</sup>. ქერი და შვრია ზოგან პოლარულ წრეს გასცილდა, ხოლო ისეთი ნაზი კულტურა, როგორცაა ხორბალი, უკვე ოსტიაკოვოვულთა და ნარიმის კოლმეურნეობებში თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავთ ოცი და მეტი ცენტერი. ხეხილმა და ბოსტნეულმა კამჩატკისა და ტურუხანის რაიონებს მიადწია, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ჩრდილოეთის სოფლის მეურნეობის მიმართულება.

საბჭოთა მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერება წარმოადგენს მატერიალისტური ბიოლოგიის ახალ, უფრო მაღალ ეტაპს. ი. მიჩურინის დევიზია: „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან: ჩვენი ამოცანაა — წავართვათ ეს წყალობა მას“. საბჭოთა მეცნიერებმა, რომელთაც უკვე დიდი გამოცდილება აქვთ ამ მხრივ, დასახეს ახალი გეგმები, რომლის თანახმად სუბტროპიკული კულტურების საზღვარი ჩრდილოეთით გადაინაცვლებს.

საბჭოთა ავიაცია ძლიერი ბერკეტი გახდა გეოგრაფიული გარემოს გარდაქმნისათვის. საბჭოთა კავშირში ავიაციას იყენებენ როგორც სამეურნეო, ისე კულტურული მიზნებისათვის. ასე მაგ., 1940 წ. ახალი საკოლმეურნეო წყალსაცავთა მასობრივ მშენებლობასთან დაკავშირებით სარატოვის ავიარაზმმა თევზის ქარხნიდან თვითმფრინავით გადაზიდა არა მარტო ლიფსიტები, არამედ ცოცხალი თევზიც. ავიაციას მასობრივად იყენებენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის კულტურათა მავნებლებთან ბრძოლაში, ტყეების დასაცავად და ხან-

<sup>1</sup> ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამ., გვ. 727.



ძრების ჩასაქრობად, მალარიის კერების მოსასპობად, აერო-  
ფოტოგადაღებისათვის, წიაღისეულ სიმდიდრეთა გამოსაკვ-  
ლევად და სხვა, რომლებსაც გეოგრაფიული გარემოს ცვლი-  
ლებისავენ მივყავართ.

გეოგრაფიული გარემოს გარდაქმნის შესანიშნავი მაგალითია  
არხების გაყვანა. ბუნებამ არ შექმნა უმოკლესი მისასვლე-  
ლი გზა ბალტიის ზღვიდან თეთრ ზღვაში. საბჭოთა ადამიანებ-  
მა გამოასწორეს ბუნების ეს „შეცდომა“. სტალინის სახელო-  
ბის თეთრი ზღვა-ბალტიის არხი (227 კმ. სიგრძის) ერთადერ-  
თი მაგისტრალია ამ ორ ზღვას შორის, საბჭოთა გემებს აღარ  
უხდებათ სკანდინავიის ნახევარკუნძულის გარშემოვლა, რაც  
მანძილს ოთხი ათასი კილომეტრით ამცირებს. გარემოს ცვლი-  
ლებების შესანიშნავი მაგალითია „დიდი ვოლგას“ პროექტი.  
გეოგრაფთა მტკიცება, რომ თითქოს ვოლგა მარტო კასპიის  
ზღვაში ჩადის, უკვე დასაზუსტებელი შეიქნა.

ჩვენი სახელმწიფო უკვე ყველაზე მოწინავე ქვეყანაა მსო-  
ფლიოში. ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური სის-  
ტემა მსოფლიოში მეურნეობის ყველაზე პროგრესული სის-  
ტემაა. დიდი ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელს წერდა, რომ:  
„ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყოთ იმით, რომ წი-  
ლად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწი-  
ფოს შენება, ამით დაგვეწყო მსოფლიო ისტორიის ახალი  
ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა, ახალი კლასისა, რო-  
მელიც დაჩაგრულია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და  
რომელიც მიდის ყველგან ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზი-  
აზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ,  
კაპიტალის უღლისაგან, იმპერიალისტური ომებისაგან კაცო-  
ბრიობის ხსნისაკენ“<sup>1</sup>.

ახასიათებდა რა ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ახალ  
კანონზომიერებებს ამხანაგი სტალინი 1935 წელს ამბობდა,  
რომ ჩვენში ხალხი მუშაობს არა ექსპლოატატორებისათვის,  
არა უსაქმურთა გამდიდრებისათვის, არამედ თავისათვის, თა-

<sup>1</sup> ვ. ლენინი. თხზ., ტ. XXXIII, №4 რუს. გამ., გვ. 32-33.

ესი კლასისათვის, საბჭოთა საზოგადოებისათვის, ამიტომ შრომას ჩვენში საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირში შრომა ღირსებისა და დიდების საქმეა და ამაში მდგომარეობს სწორედ მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში წარმატებითა და გადაჭარბებით სრულდება სამეურნეო მნიშვნელობის გეგმები. მშრომელთა ინიციატივითა და სახელმწიფოს დახმარებით უმოკლეს ვადაში მთავრდება სახალხო მშენებლობანი, რომლებიც ბუნების მიზანშეწონილი და რაციონალური გამოყენებისაკენაა მიმართული.

„იმის შეგნება, რომ მუშები მუშაობენ არა კაპიტალისტისათვის, არამედ თავიანთი საკუთარი სახელმწიფოსათვის, თავიანთი საკუთარი კლასისათვის,—ეს შეგნება უდიდეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში“<sup>1</sup>. რაც უფრო ძლიერდება და მტკიცდება სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, მით უფრო ძლიერდება სოციალისტური შრომის შემოქმედებითი ხასიათი, რომელიც გარდაქმნის გარემომცველ გარემოს და სოციალიზმის სამსახურში აყენებს. „არის კიდევ მეორე პირობა, ისიც მუდმივი ხასიათისა, რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური რუსეთის განვითარებას. ეს გარემოებაა ის, რომ რუსეთი მიეკუთვნება მსოფლიოს იმ მცირედენი ქვეყნების რიცხვს, რომლებიც შიგნით მდიდარია ყველა სახის სათბობით, ნედლეულითა და სურსათით, ე. ი. წარმოადგენს სათბობის, სურსათისა და სხვა მხრივ უცხოეთისაგან დამოუკიდებელ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია ამ მხრივ უუცხოეთოდ გასძლოს. ეჭვი არ არის, რუსეთი სხვისი პურითა და სათბობით რომ ცხოვრობდეს, როგორც, მაგალითად, იტალია, იგი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა რევოლუციის მეორე დღესვე, ვინაიდან საკმარისი იქნებოდა მისი ბლოკირება, რომ იგი უპუროდ და უსათბობოდ დარჩენილიყო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. სტალინი. თხზ., ტ. X, გვ. 127.

<sup>2</sup> ი. სტალინი. თხზ., ტ. IV, გვ. 409.

სტალინური ხუთწლეულების პერიოდში ამხანაგმა სტალინმა დასახა ის პირობები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოფილი იქნებოდა ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობა. ამ ობიექტურ პირობათა შორის ამხანაგმა სტალინმა კვლავ მიუთითა ხელსაყრელ ბუნებრივ გეოგრაფიულ პირობებზე. 1934 წელს სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო პირველ კონფერენციაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქვეყანას ჰქონდეს საკმარისი ბუნებრივი სიმდიდრე: რკინის მადანი, ქვანახშირი, ნავთი, პური, ბამბა. არის თუ არა ყოველივე ეს ჩვენში? — არის. არის უფრო მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში... ბუნებრივი სიმდიდრის მხრივ, ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვართ. იგი ჩვენ უფრო მეტიც გვაქვს, ვიდრე გვესაჭიროება“<sup>1</sup>. ამასთანავე ლენინი და სტალინი მუდამ ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მარტო ბუნებრივი პირობების სიმდიდრე საკმარისი როდია; რომ საჭიროა შესაფერისი სოციალური და პოლიტიკური პირობები ამ სიმდიდრეთა ეფექტური გამოყენებისათვის.

ლენინმა და სტალინმა გააცამტვერეს რეაქციული „თეორიები“ რუსეთის „ღარიბი გეოგრაფიული პირობების“ შესახებ და მიუთითეს ჩვენი ქვეყნის აურაცხელ ბუნებრივ საწარმოო რესურსებზე.

საბჭოთა გეოლოგებმა აღმოაჩინეს უამრავი ახალი მდიდარი საბადო. ჩვენ უკვე გვაქვს ყველა წიაღისეული სიმდიდრე, რომელიც მსოფლიოს რომელიმე მხარეში მოიპოვება.

ჩვენ დიდი რაოდენობით გვაქვს საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი, ლენინის გამოთქმით, ეს „მრეწველობის პური“. „ასე, მაგ., ქვანახშირის მარაგმა, რომელსაც 1913 წელს 223 მილიარდ ტონას ითვლიდნენ, უკვე 1937 წელს, VII საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის მონაცემებით, 1654 მილიარდი ტონა შეადგინა, ე. ი. 7-ჯერ მეტი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. სტალინი. ლენინის მემორიალური საკითხები, მე-11 გამ., 1951, გვ. 417.

<sup>2</sup> И. И. Иванов-Омский, Ист. мат. о роли геогр. ср. в разв. об. вв., 1950.

ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვართ საწვავი ფიქ-  
ლით, ტორფით, ნავთობით, ბუნებრივი გაზით. ამ უკანას-  
კნელს დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა ენიჭება  
მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. სსრ-  
კავშირის ევროპული ნაწილის ეკონომიურად მაღალგანვითა-  
რებული რაიონების მიმართ. ეს გარემოება ხელს უწყობს  
იაფი და ტრანსპორტაბელური გაზსადენი მიწების გაყვანას  
მსხვილ სამრეწველო ცენტრებში (სარატოვი-მოსკოვი, და-  
შავა-კიევი, კონსტანტინოპოლი-ლენინგრადი და სხვ.).

აურაცხელია ჩვენი ჰიდროენერგორესურსები, რომელიც  
280 მილიონი კილოვატითაა განსაზღვრული, ე. ი. 20-ჯერ  
მეტე, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში. ამ მხრივ ჩვენ პირ-  
ველ ადგილზე ვართ მთელ მსოფლიოში.

აღმოჩენილია ისეთი წიაღისეული სიმდიდრეები, რომელსაც  
ძველ რუსეთში არ იცნობდნენ და უცხოეთიდან შემოჰქონ-  
დათ: კალა, ვოლფრამი, მოლიბდენი, ვანადიუმი, ქრომი და  
სხვ. შეიცვალა ქვანახშირისა და სხვა მოპოვებითი მრეწველო-  
ბის გეოგრაფიული განლაგება. მაგ., ძველად ჩამორჩენილ შუა  
აზიაში შეიქმნა ახალი სამრეწველო რაიონები—ქვანახშირის  
მოპოვება ყარაგანდაში. სპილენძის მოპოვება (ჯეზკაზგანი,  
კარსაკაბი, კოუნრაი, ბალხაში და სხვ.). ასევე შორეულ  
ჩრდილოეთში, შორეულ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში  
შეიქმნა ახალი სამრეწველო რაიონები.

გეოგრაფიული გარემოს ცვლილება და დამორჩილება სხვა-  
დასხვა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში. ასე  
მაგ., ერთისა და იმავე გეოგრაფიული გარემოს ქვეყნები—ეგ-  
ვიპტე და შუა აზიის რესპუბლიკები ძირფესვიანად განსხვავ-  
დებიან ერთმანეთისაგან ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც.  
შუა აზიის რესპუბლიკები (თურქმენთა, ყირგიზთა, უზბეკთა  
და ტაჯიკთა სსრ-ები) დღეს მოწინავე მრეწველობისა და  
სოფლის მეურნეობის ქვეყნებია, სადაც დამკვიდრებულია  
საზოგადოების განვითარების სოციალისტური სისტემა. ფაბ-  
რიკა-ქარხნები და საწარმოები მშრომელთა საკუთრებას შე-  
ადგენს, მიწა კი კოლმეურნეობებს ეკუთვნის, რომელიც „თა-

ვის მუშაობასა და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე“<sup>1</sup>.

ეგვიპტეში ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება ხალხის ექსპლოატაციისა და გაძარცვისაკენაა მიმართული. იგი ინგლისის ნახევარ კოლონიასა და აგრარულ დანამატს წარმოადგენს. ამრიგად, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ პირობებში მყოფი ქვეყნებიდან ერთი დეგრადაციის გზას ადგია, მეორე კი იზრდება, ძლიერდება, წინ მიდის. ამის მიზეზი გეოგრაფიულ გარემოში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების შინაგან წყობაში, სადაც საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარებით იცვლება და ხალხის სამსახურში დგება გეოგრაფიული გარემო.

გეოგრაფიული გარემოს გეგმაზომიერი გარდაქმნისა და დამორჩილების გრანდიოზულ გეგმას წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსაცავების მშენებლობის შესახებ“. ამ ღონისძიების მთავარი მიზანია ბრძოლა გვალვასთან, მშრალ ქარებთან და ნიაღვრებთან.

ჯერ კიდევ 1924 წლის 15 ივნისს დემიან ბედნისადმი მიწერილ წერილში ამხანაგი სტალინი მიუთითებდა გვალვასთან ბრძოლის საშუალებებსა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე „...გვალვა გვასწავლის მოვაწყობთ და გარდაქმნათ სოფლის მეურნეობა. ასეთია ისტორიის გზები“<sup>2</sup>.

პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მორიგ ამოცანად დააყენა სწორი თესლბრუნვის შემოღება, ტყეების დარგვა და ტყესაცავი ზოლების გაშენება და აღნიშნა, რომ

<sup>1</sup> ი. სტალინი. ღენინიზმის საკითხები. მე-11 გამ., 1951 წ., გვ. 643.

<sup>2</sup> ი. სტალინი. ტ. 6, გვ. 314—315.

„რაც შეეხება ვოლგისგალმა მხარის მორწყვას, — ეს კი მთავარია გვალვასთან ბრძოლის თვალსაზრისით, — არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს საქმე დიდი ხნით გადაიდოს. ამოცანის არის, რომ შევუდგეთ სერიოზულ მუშაობას ვოლგისგალმა მხარის მორწყვის საქმის მოსაწყობად“<sup>1</sup>.

საბჭოთა მიწის გარდაქმნის გეგმა ეყრდნობა დოკუმენტურ-კოსტიჩევ-ვილიამსის მოძღვრებას და დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის წარმატებებსა და პერსპექტივებთან. გეგმის თანახმად 1949—1965 წლების განმავლობაში ტყესაცავი ფართობი მოეწყობა 118 ათას ჰექტარზე, რომლის სიგრძე 6.000 კილომეტრს მიაღწევს, ხოლო მინდორსაცავი ტყის ნარგავთა ფართობი 6.031 ათასი ჰექტარით გაიზრდება.

ამხანაგმა ვ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში 1948 წლის 6 ნოემბერს განაცხადა: „ამ გრანდიოზული სახელმწიფო გეგმის განხორციელება, რომლის მიღებითაც ომი გამოეცხადა გვალვასა და მოუსავლიანობას ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში, ჩვენს სოფლის მეურნეობას გამოიყვანს უხვი და მყარი მოსავლის სწორ გზაზე, კოლმეურნეთა შრომას გახდის მაღალნაყოფიერს და დიდად აამაღლებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას. ჩვენი რწმენა დიად სამუშაოთა ამ ისტორიული გეგმის განხორციელებისადმი მოწმობს, თუ რაოდენ სწრაფად იზრდებიან ჩვენი ძალები, ჩვენი წარმატებანი და შესაძლებლობანი, როცა ჩვენ მივდივართ კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის მიერ დასახული გზით“.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის თვალუწვდენელ სივრცეთა ბუნების გარდაქმნა უმაგალითოა ისტორიაში, და ეს ღონისძიება ნათლად მოწმობს არა მარტო სოციალისტური წყობილების ძლიერებას, არამედ საბჭოთა მიწათმოქმედების ისეთ აყვავებას, რომელზედაც კაპიტალისტურ ქვეყნებს ოცნებაც კი არ შეუძლიათ. ამ გეგმის გრანდიოზულობა იქიდანაც

<sup>1</sup> ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამ., 1951, გვ. 1567.

ჩანს, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც სამუშაოები იწარმოებს, მოთავსებულია 70 ათასამდე კოლმეურნეობა, ხოლო მათთვის გადაცემული მიწის ფართობი 120 მილიონ ჰექტარს შეადგენს.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილი უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება მარცვლეულის უხვი მოსავლით ყოველგვარ პირობებში. საშიში აღარ იქნება მშრალი ქარები, გვალვები, ნიაღვრები, რომლებიც უდიდეს ზიანს აყენებენ აღნიშნული ტერიტორიის სოფლის მეურნეობას. შეიცვლება წყლის რეჟიმი, კლიმატური პირობები და მთელი ბუნებრივი გარემო. ეს იქნება საბჭოთა წყობილების დიადი გამარჯვება ბუნებაზე, ეს იქნება ბუნების გარდაქმნა-დამორჩილება სოციალისტური საზოგადოების ინტერესებისათვის, ეს იქნება სოციალისტური მიწათმოქმედების უდიდესი პროგრესი. განხორციელდება ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. მიჩურინის წინასწარმეტყველება: „მე ვხედავ, რომ საკოლმეურნეო წყობილება, რომლის მეოხებითაც კომუნისტური პარტია იწყებს განახლების დიად საქმეს, მშრომელ კაცობრიობას მიიყვანს ბუნების ძალებზე ნამდვილ ბატონობამდე“.

ბუნების გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებია აგრეთვე კუთბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილო ყირიმის არხის მშენებლობანი. აგრეთვე ვოლგა-დონის სანაოსნო არხი, რომელიც უკვე შევიდა ექსპლოატაციაში.

როგორც ცნობილია, დიდი ლენინი და სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეს. ჯერ კიდევ სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობამ მიიღო რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმა („გოელრო“). დიდი ლენინი ამბობდა, რომ, თუ რუსეთში შეიქმნება ჰიდროელექტროსადგურების ხშირი ქსელი, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა გახდება სამაგალითო მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის. „გოელროს“ გეგმის განხორციელებით დაიწყო ჩვენი ქვეყნის ბუნების გეგმაზომიერი გარდაქმნა.

რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიამ 1921 წელს გაითვალისწინა 10—15 წლის განმავლობაში 30 ელექტროსადგურის აგება (1.500 ათასი კილოვატის სიმძლავრით). სწორედ იმ პერიოდში ფანტასტიკური რომანების ცნობილი ავტორი ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი ეწვია რუსეთს და მან „გოელროს“ გეგმას უტოპია უწოდა.

1926 წელს დაიწყო ევროპის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის—დნებრჰესის მშენებლობა. უცხოეთის პრესა ირონიულად ლაპარაკობდა ჩვენს გეგმებზე, ინგლისელი და ამერიკელი „ავტორიტეტები“ ამტკიცებდნენ, რომ „დნებრჰესის მსგავსი ნაგებობანი კულტურულ დასავლეთშიც კი ათეული წლების მანძილზე შენდება; მაშ ვინდა დაიჭერებს, რომ რუსი და უკრაინელი გლეხები შესძლებენ ხუთ წელიწადში ააგონ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური. ეს ზღაპარია“.

მათი ვარაუდი არ გამართლდა. ზღაპარი სინამდვილედ იქცა. დაწესებულ ვადებში დნებრჰესმა სამრეწველო დენი მისცა ჩვენს სამშობლოს.

დნებრჰესის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მწყობრში ჩადგა მრავალი დიდი ჰიდროელექტროსადგური და „ჩამორჩენილი რუსეთი“ ელექტროენერჯის გამომუშავებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა. მაგრამ მზარდი საბჭოთა სახალხო მეურნეობისათვის არც ეს იყო საკმარისი.

დიდი ლენინი წერდა: „კომუნიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. ეს გენიალური ფორმულა გახდა კომუნიზმის დიად მშენებლობათა, სტალინური გეგმების შედგენის ქვაკუთხედი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვოლგის ორი გიგანტის—კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია 13-ჯერ გადააჭარბებს „გოელროს“ სიმძლავრეს.

კუიბიშევის ელექტროსადგურის სიმძლავრე იქნება ორი მილიონი კილოვატი. იგი ელექტროენერჯიას მიაწოდებს მოსკოვსა და სხვა მსხვილ ქალაქებს. მის ბაზაზე მოირწყვე-



ბა ვოლგის გადაღმა მხარის ერთ მილიონამდე ჰექტარი მიწა. სტალინგრადის ელექტროსადგურის სიმძლავრე იქნება 1,7 მილიონი კილოვატი. მაგისტრალური არხით მოირაზრება და წყლით უზრუნველყოფილი იქნება ვოლგასა და ურალსშუა კასპიის ზღვისპირის დაბლობის დაახლოებით 15 მილიონი ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, ვოლგის გიგანტური ნაგებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კასპიის ზღვისპირა დაბლობის კლიმატურ პირობებსაც.


ვოლგის ორი გიგანტი წლიურად 20 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამასთანავე კიდევ უფრო გაუმჯობესდება მდინარე ვოლგის სანაოსნო პირობები, გაიზრდება ტვირთბრუნვა, გემების მიმოსვლა. კიდევ უფრო განმტკიცდება ეკონომიური კავშირთა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებს შორის. ამასთანავე, გაუმჯობესდება წყალმომარაგება, განვითარდება თევზის მეურნეობა.

ვოლგის ორი გიგანტი თავისი სიმძლავრით ორჯერ გადააჭარბებს მსოფლიოს ისეთ უდიდეს ჰიდროელექტროსადგურებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორებიცაა გრენდ-კოული (972 ათ. კვტ) და ბოულდერდამი (1 მილ. კვტ).

ძნელია გამოანგარიშებულ იქნეს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მთელი სახალხო მეურნეობრივი ეფექტი. მაგალითად, ისინი მოგვცემენ სათბობის უდიდეს ეკონომიას. იმისათვის, რომ თბოელექტროსადგურებზე გამოიმუშავებულ იქნეს 22 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია საჭირო იქნებოდა ერთი წლის განმავლობაში 22 მილიონი ტონა სათბობის მოპოვება, ადგილზე მიტანა და დაწვა.

კუბიშეევჰესის მშენებლობა დამთავრდება 1955 წელს, სტალინგრადჰესისა—1956 წელს.

კომუნისმის უდიდეს მშენებლობათა რიცხვს მიეკუთვნება სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილო ყირიმის არხი (სიგრძე 550 კმ), კახოვკის ჰიდროელექტროსადგური, აგრეთვე ხუთი



ზღვის შემაერთებელი ვოლგა-დონის სანაოსნო არხი (101 კმ), რომელიც 1952 წლის ივლისში შევიდა ექსპლუატაციაში.

წარმატებით მიმდინარეობს ყარა-ყუმის უდაბნოს გარდაქმნა. ყარა-ყუმი თურქმენთა ენაზე „ბოროტ ქვიშას“ ნიშნავს. ბოროტი იმიტომ ჰქვია, რომ ეს უწყლო უდაბნოა, თითქმის უსიცოცხლო, უკაცრიელი. თურქმენთა ძველი ანდაზა შესანიშნავად გამოხატავდა ძველად შუა აზიის ხალხების გაჭირვებულ მდგომარეობას უწყლობის გამო: „მდიდრის მამულზე წყალი მიედინება, ღარიბის მამულზე ქვიშიანი უდაბნო გადის“.

ისტორია გვასწავლის, რომ ძველად მდინარე ამუ-დარია—ეს „სამოთხის მდინარე“ კასპიის ზღვაში ჩადიოდა და ახლაც დარჩა მისი ძველი კალაპოტი—„უზბოი“, მაგრამ შემდეგში თურმე ხორეზმის მთავრებმა მდინარე ამუ-დარიას მიმართულება შეუცვალეს და მას შემდეგ იგი არალის ზღვაში ჩადის. თურქმენთა ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უდაბნოდ იქცა. თურქმენი ხალხი საუკუნოებით ოცნებობდა მდინარე ამუ-დარიის კასპიის ზღვაში გადაშვებაზე, მაგრამ ამოდ. მხოლოდ სტალინურ ეპოქაში შეიქმნა შესაძლებელი მდინარე ამუ-დარიის კასპიის ზღვისაკენ მობრუნება.

როგორც ცნობილია, თურქმენეთის რესპუბლიკა წარმოადგენს მეცხვარეობისა (ყარა-ყუმის) და მებამბეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონს მთელს საბჭოთა კავშირში, მაგრამ უწყლობა და უდაბნოთა დიდი ფართობები აბრკოლებდა სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. ამ მიზნით დაიწყო თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობა, არხი მდინარე ამუ-დარიაზე სათავეს აიღებს ქალაქ ნუკუსთან, ტახია-ტაშის კონცხთან, სარიყამიშის ქვაბულის შემოვლით ყარა-ყუმის უდაბნოზე გავლით, უზბოის ძველი კალაპოტით კასპიის ზღვისპირა ნავსადგურ კრასნოვოდსკამდე მივა. ამ არხით მოირწყება და უზრუნველყოფილი იქნება 7 მილიონამდე ჰექტარი მიწა, რაც დიდად შეუწყობს ხელს თურქმენეთის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. მოსავლიანობა გაზრდება 4—5-ჯერ და მიწა წელიწადში ორ მოსავალს მოგვცემს. შეიქმნება მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობი-

სათვის, გაუმჯობესდება კლიმატური პირობები, გაშენდება ქარსაცავი ზოლები, მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება სასმელი და სამეურნეო წყლით დასახლებული პუნქტები, საწარმოები და რკინიგზა. დასასრულ, თურქმენეთის მთავარი არხის სანაოსნო მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ იგი შუა აზიას დააკავშირებს კასპიის ზღვასა და ვოლგასთან, ტვირთზიდვა იწარმოებს სწრაფი და იაფი წყლის ტრანსპორტით.

შვიდ წელიწადში დამთავრდება მსოფლიოში ყველაზე გრძელი თურქმენეთის არხის მშენებლობა (სიგრძე 1100 კმ), მაშინ როდესაც 81 კილომეტრი სიგრძის პანამის არხს ამერიკაში აშენებდნენ 35 წლის განმავლობაში, ხოლო 165 კილომეტრი სიგრძის სუეცის არხს — 22 წლის განმავლობაში.


არხის გაყვანით დადგება ყარა-ყუმის, ამ შავი და ბოროტი ქვიშების უკანასკნელი დღეები. ათვისებული იქნება ყარა-ყუმის უდაბნოს დიდი ნაწილი, დაახლოებით იმდენი, რაც 1,5-ჯერ აღემატება დიდი ბრიტანეთის ფართობს.

კომუნისმის ეს დიადი მშენებლობანი—სახალხო მშენებლობათაა გამოცხადებული. ეს იმიტომ, რომ მათ აშენებს მთელი ხალხი; რომ ისინი შენდება ხალხის ინტერესებისათვის, ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დიად მშენებლობებში. 7 წლის განმავლობაში დიადი მშენებლობანი შესაძლებლობას მოგვცემენ მოვრწყათ და წყლით უზრუნველვყოთ თითქმის 28 მილიონი ჰექტარი მიწა, ე. ი. რაც გადააჭარბებს ინგლისისა და დანიის ტერიტორიას ერთად აღებულს.

ჩვენი ქვეყანა კომუნისმის ამ დიად ნაგებობათა დამთავრებით უკან ჩამოიტოვებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას სოფლის მეურნეობის წარმოების დონით. მარტო თურქმენეთში, სადაც დღეისათვის უდაბნოებს მთელი რესპუბლიკის ოთხმეხუთედზე მეტი უჭირავს, არხის გაყვანის შემდეგ ზამბის პლანტაციათა ფართობი ერთნახევარჯერ მეტი იქნე-

ბა, ვიდრე არგენტინასა, მექსიკასა და ირანში ერთად აღებული.



საბჭოთა კავშირის საქართველოს კომუნისტური პარტია

„პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში 1951 წლის 17 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა შესანიშნავად დაახასიათა ჩვენი სამშობლოს დიადი სამშვიდობო სამუშაოები: „...არც ერთ სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოსაც, არ შეუძლია მთელი გაქანებით განავითაროს სამოქალაქო მრეწველობა, დაიწყოს ისეთი დიდი მშენებლობანი, როგორცაა, მაგალითად, ჰიდროსადგურები ვოლგაზე, დნებარზე, ამუდარიანზე, რომლებიც ათეულ მილიარდობით საბიუჯეტო თანხებს მოითხოვენ, განაგრძოს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატიური შემცირების პოლიტიკა, რაც აგრეთვე მოითხოვს ათეული მილიარდობით საბიუჯეტო ხარჯებს, ასეული მილიარდები დაახანდოს გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, და ამასთანავე, ამავ დროს, გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, გააფართოოს სამხედრო მრეწველობა“<sup>1</sup>.

გარემოს დამორჩილება-გარდაქმნის შესანიშნავი მაგალითია აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკა, სადაც სტალინური ხელმძღვანელების მანძილზე უდიდესი სამუშაოები ჩატარდა ამ მიმართულებით. ძველად საქართველო რუსეთის განაპირა ჩამორჩენილი ნახევრადკოლონია იყო; დღეს კი იგი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, დიდი ელექტროსადგურების რესპუბლიკაა.

კოლხეთის საუკუნეობრივი ჭაობის დიდი ფართობი ამოშრობილ იქნა და 1949 წელს კოლმეურნეობებს დამატებით საექსპლოატაციოდ გადაეცა ოცი ათასი ჰექტარი მიწა. ათეულ ათას ჰექტარზე გაშენებულია სუბტროპიკული კულტურები — ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ძვირფასი ტექნიკური კულტურები.

<sup>1</sup> ი. სტალინი. საუბარი „პრავდის“ კორესპონდენტთან. თბ., 1951, გვ. 4.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღ-  
მავლობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში,  
მთლიანად სარწყავი არხების მშენებლობაზეა დამოკიდებუ-  
ლი. არსებული სარწყავი არხების და განსაკუთრებით ომის-  
შემდგომ მეოთხე სტალინურ ხუთწლედში არხების ახალ  
სისტემათა მშენებლობამ და რეკონსტრუქციამ სარწყავი  
ფართობი თითქმის 55 ათასი ჰექტარით გაადიდა. მათ შო-  
რის ყველაზე მნიშვნელოვანია სტალინის სახელობის სამგო-  
რის სარწყავი არხი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მო-  
მავალში აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, ბამ-  
ბის მაღალმოსავლიან პლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათას  
ჰექტარზე მეტი, ამჟამად ცარიელი მიწა, რომელიც უშუა-  
ლოდ ქალაქ თბილისს აკრავს. სამგორის სარწყავი სისტემის  
გრანდიოზულ სამუშაოთა მთლიანად დამთავრება, შეცვლის  
თბილისის მიდამოების—მდინარე მტკვარსა და იორს შორის  
მდებარე ტერიტორიათა გარემოს, რომელიც დღემდე გამო-  
უყენებელია და ნახევრადუდაბნოს წარმოადგენს. მდინარე  
ივრის გადმოშვებით მთელი ეს უზარმაზარი ფართობი სა-  
ხნავ-სათეს ფართობად გადაიქცა. შეიქმნა წყალსაცავი მლაშე  
ტბებთან, რომელსაც ხალხმა „თბილისის ზღვა“ უწოდა.

შემუშავებულია გეგმა დასავლეთ საქართველოში ეკალიბ-  
ტის ნარგავთა ქარსაფარი ზოლის გასაშენებლად. 1955  
წლისათვის ეკალიბტის რაოდენობა ას მილიონ ძირამდე  
მიაღწევს. ასევე მუშავდება მინდორსაცავი ტყის ზოლების  
გაშენების გეგმა აღმოსავლეთ საქართველოში. გარდა ამისა,  
საქართველოში ტყე შენდება ცალკეულ მასივებად, განსა-  
კუთრებით თბილისის მიდამოებსა და აღმოსავლეთ საქარ-  
თველოს რაიონებში, სადაც ცარიზმის დროს მტაცებლური  
ექსპლოატაციის გამო ტყეები განადგურებულ იქნა.

ახალმა ინდუსტრიულმა ცენტრებმა გარდაქმნეს მთელი  
საქართველოს ბუნება. ზაპესი, რიონჰესი, ხრამჰესი, ამიერ-  
კავკასიის მეტალურგიული ქარხანა, ახალციხის ქვანახშირის  
წარმოება და სხვა სამრეწველო ობიექტებისა და ქალაქების

ოღმოცენება იმის მომასწავებელია, რომ სოციალისტური შე-  
ურნეობა იმორჩილებს ბუნებას.

„ჩვენი რესპუბლიკა სულ უფრო მზარდი რაოდენობით  
აწარმოებს ფოლადს, ნაგლის, ფეროშენადნობებს, ქვანახ-  
შირს, მარგანეცს, ცემენტს, თვითსაცლელ ავტომანქანებს,  
ზუსტ ხელსაწყოებს, ლითონსაჭრელ ჩარხებსა და საფეიქრო  
დაზგებს“<sup>1</sup>.

ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ლენინ-სტალინის  
პარტიისა და პირადად დიდი სტალინის ხელმძღვანელობით,  
კომუნიზმის დიადი მშენებლობის გმირული მატიანის უბრ-  
წყინვალესი ფურცელია.

ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები საუკუნეობით ოცნე-  
ბობდნენ ბედნიერ ცხოვრებაზე, მშრომელთა კეთილდღეო-  
ბაზე, ბუნების გამოყენებაზე, მის გარდაქმნაზე. ეს ამოცა-  
ნა ისტორიაში პრაქტიკულად საბჭოთა ხალხმა გადაწყვიტა.

დიად სტალინურ ეპოქაში სულ უფრო და უფრო ძლიერ-  
დება და ფართოვდება მუშაობა ბუნების გარდაქმნის დიადი  
სტალინური გეგმის განხორციელებისათვის. „მადლიერი  
შთამომავლობა არასოდეს არ დაივიწყებს ბრძნულ გადა-  
წყვეტილებებს ლენინ-სტალინის პარტიისას, რომელმაც და-  
ამუშავა და ახორციელებს ბუნების გარდაქმნის გეგმას“  
(„პრავედა“).

\*  
\*  
\*

საბჭოთა კავშირის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ  
თანამიმდევრობით და რაციონალურად ხდება ბუნებრივი გა-  
რემოს გარდაქმნა-დამორჩილება. რევოლუციამდელი რუ-  
სეთისა და თანამედროვე სოციალისტური ქვეყნის ურთიერთ  
შედარება ცხადყოფს, თუ რაოდენ დამოკიდებულია გეოგ-  
რაფიული გარემოს გარდაქმნის ტემპები და ხასიათი საზო-  
გადოებრივ წყობილებაზე, საწარმოო ძალთა განვითარების  
დონეზე.

<sup>1</sup> ა. მგელაძე. საანგარიშო მომსახურება საქართველოს კომპარტიის  
XV ყრილობას, თბ., 1952, 83-88.





შინაარსი



შესავალი . . . . .	3
გეოგრაფიული გარემოს ბურჟუაზიული თეორიები და მათი კრიტიკა . . . . .	5
გეოგრაფიული გარემოს გავლენა საზოგადოების განვითარებაზე . . . . .	38
საზოგადოების გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე . . . . .	45
სოციალისტური საზოგადოების გავლენა გეოგრაფიულ გარემოზე . . . . .	54

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი: პროფ. კ. ბაქრაძე

კორექტორები: დ. ნათიშვილი

ო. გიორგაძე

ტექ. რედაქტორი: ა. თოდუა

გამომშვები: კ. გრიგოლია

გადაეცა წარმოებას 5.10.52 ხელმოწ. დასაბეჭდად 30.12.52, ქალაქდ.

ზამა 84×108<sub>ვ</sub>, საავტორო 3,07 ქალაქდ. ფურც. 1,125, საბეჭდ.

ფორ. 3,69, საადრ.-საგამომც. ფურც. 3,15, შუკ. № 1747.

უფ 01601. ტირაჟი 3000

ფასი 1 მ.



ფასი 1 მან.

შ. 51

1923



Г. И. Зардалишвили

ЧЕЛОВЕК И ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СРЕДА

(на грузинском языке)

Издательство АН Грузинской ССР  
Тбилиси—1952